

3-47

საბჭოთავო
ბიბლიოთეკა

საბავშვო საბიბლიოთეკა



1928

სახეცვლილება

№ 4

„პიონირი“

რედაქცია გადამიღა ახალ ბინაზე:

ჭავჭავაძის, რუსთველის გამზირი, № 22

(საქართველოს კომუნისტური პარტიის
სენსორული კომისიის ყოფილი უბნოზე)

ყოველგვარი მიწერ-მოწერა
რომელიც უზრუნველს საკითხებ-
თან არის დაკავშირებული, ამ
მისამართით უნდა იქნას
წარმოებული

შინაარსი:

№	შინაარსი	გვ.
1.	ჩვენი საღამო ს. ა. ლ. კ. კ. მე-9 ყრილობას— ა. ასტაშევა	2
2.	ნორჩი ლენინელები—ს. კამარაულის	3
3.	კინო-მსახიობი მიშა—ს. გ.	8
4.	ხუთი მდინარის სათავეში—ნ. კეცხოველის	13
5.	საქართველოს ოქტომბერი—ვ. ვურულის	15
6.	რვა მარტი—ვ. ლუარსაბიძის	16
7.	თებერვლის რევოლუცია—შანის	17
8.	როგორ მუშაობდნენ მარქსი და ლენინი—გ. ხოსელიასი	19
9.	ჩვენი მეზობელი სახელმწიფოები: პოლონეთი— ა. გორგაძის	20
10.	ჩვენი ცხოვრება და მუშაობა	22
11.	როგორ იჭერს მიმღები რადიო-ტელეებს	24
12.	თამაშობანი	კანონი

329.153(05)

კ-47.



მუშათა კლასის საშინაოთმის იყავ მყად!

კომუნეზი



1928


27 თებერვალი

განათლების სასკოლო კომისიის სტეფანოპოლის ალბრტის მთავარმართველთმის და სკოლათელთს შ. კ. თ. ცენტრალური მიერთს (საქ. ა. ლ. კომპაგნიტის ცუკასთან) აქრნალი მავშემისათვის

წელიწადი III
№ 4



სწავლა, სწავლა და კიდევ სწავლა—აი რა გვიანდერძა ჩვენმა ძვირფასმა მასწავლებელმა ლენინმა.



რეანი სალაში ს. ა. ლ. კომკავშირის მე-9 ყრილობას.

ნორჩო პიონერებო, 27 თებერვალს იხსნება საქართველოს ახალგაზრდათა ლენინური კომკავშირის მე-9 ყრილობა. ყრილობა დიდ ყურადღებას მიაქცევს პიონერ-ორგანიზაციის მუშაობის საკითხებს, ვინაიდან მე-8 ყრილობიდან გასული ორი წლის განმავლობაში პიონერ-ორგანიზაციამ თავის მუშაობის პერიოდში მრავალი დაბრკოლება განიცადა: ორი წლის წინ ჩვენ აღნიშნავდით კოლექტივების მუშაობის შეუფარდებლობას სკოლების მუშაობასთან, მასწავლებლები ჩვენ ხელს არ გვიწყობდენ, არ გვენდობოდენ და ალმაკერად გვიცქეროდენ, კოლექტივების მუშაობა ხშირად არ ეთვისებოდა ბავშთა მოთხოვნილებებს, კოლექტივებში ჩვენ ვაწარმოებდით მხოლოდ საუბრებს, რომელსაც ვიმეორებდით წლობით. შრომის პრინციპებს არავითარი ადგილი არ ჰქონდა კოლექტივებში. ჩვენ არ გვქონდა ზოგ შემთხვევაში ნდობა და ავტორიტეტი მოსახლეობაში. არ იყო შემთხვევა, რომ ჩვენ მშობლების სრული ნებათა და მიგველო კოლექტივებში სიარულისათვის, განსაკუთრებით სოფლად. ყველა ჩვენთაგანმა უნდა გადაათვალიეროს განვლილი გზა და უნდა გაიხსენოს, რა იყო ორი წლის წინათ თითოეულ კოლექტივში. არიან ისეთი პიონერები, რომლებსაც გაპარვაც კი უხდებოდათ კოლექტივებში, იძულებული იყვნენ დამალათ გალსტუკები. ამჟამად ასეთ მოვლენებს ადგილი არა აქვს.

ჩვენ ამჟამად გვაქვს მთელი რიგი მიღწევებასა; აღმოგვჩვენებთ პიონერთა მასიური გასვლა კოლექტივიდან, მშობლები დიდი სიამოვნებით გვიშვებენ კოლექტივების მეცადინეობაზე. ჩვენ უკვე ნდობა და ავტორიტეტი მოვიხვეჭეთ მოსახლეობაში. მართალია, არის გამონაკლისი, მაგრამ უმნიშვნელო, რომელიც, რასაკვირველია, ხელს არ უშლის კოლექტივების მუშაობას; ჩვენ უკვე მოვიპოვეთ სკოლების ხელმძღვანელთა ნდობა. პიონერები გახდნენ სკოლისა და საზოგადოებრივ-სასარგებლო მუშაობაში ჩაბმის ინიციატორები. ჩვენ უკვე გვაქვს კავშირი სკოლების და კოლექტივების მუშაობაში, მასწავლებლები ჩვენი თანაშემწეები გახდნენ. ჩვენ გავხდით სკოლებში ყველა ახალი წამოწყების ინიცია-

ტორები, შემოვიღეთ სკოლებში ცხელი საუზმეები, საკლუბო დღეები და საათები, მაგრამ ახლაც არის ისეთი კოლექტივები, რომლები ჩამორჩენილი არიან მუშაობაში, რომლებიც ფიქრობენ, რომ მოწაფეების მოთხოვნილებას არ შეადგენს მეცადინეობის დროს ცხელი საუზმეები და საკლუბო დღეები. საჭიროა ამ კოლექტივებმა გაახილონ თვალები და არ ჩამორჩენ პიონერთა საერთო მასას. ჩვენ შევასრულეთ საკავშირო კომკავშირის მე-7 ყრილობის ლოზუნგები, რომელიც წამოსროლილ იქნა მოსკოვში 1926 წლის 21 მარტს. თითოეულ კომკავშირელზე საქართველოში ერთი პიონერი მოდის.

რით აიხსნება ყველა ჩვენი მიღწევა და ან გვაქვს თუ არა ასეთები ყველა კოლექტივში?

აი, ამაზე უნდა დაფიქრდეს თითოეული პიონერი, და თუ ასეთი მიღწევები არ არსებობს მის კოლექტივში, უნდა წამოაყენოს საკითხი ამის შესახებ. ბოლო ხანებში ჩვენს კოლექტივებში გაუმჯობესდა მიზანშეწონილი დასვენების მოწყობის საქმე. ეწყობა თვითმოქმედების საღამოები, ექსკურსიები, დღეები და სხვა.

ყრილობის საუკეთესო საჩუქარი იქნება, თუ თითოეული პიონერი, თითოეული კოლექტივი გამოამუშავებს ჩვენს მიღწევებს და ყრილობას მიაწვდის ჩვენი პიონერული პრესის საშუალებით ჩვენს ნაკლოვანებებს: ამით საშუალებას მივცემთ ყრილობას გადასტრას საკითხი ჩვენი მუშაობის შესახებ და გაითვალისწინოს ჩვენი მომავალი ამოცანა.

ყრილობის შემადგენლობა—ჩვენი ძმები და დები—ჩვენთვის იღვწის და ჩვენთვის ზრუნავს, ცდილობს გააუმჯობესოს ბავშთა მუშაობის პირობები კოლექტივში; დავებმართო მათ გადასწყვიტონ ყველა საკითხი, ვწეროთ ჟურნალ „პიონერში“ ჩვენი მუშაობის შესახებ სკოლაში, კოლექტივში, ბავშთა დასვენების მოწყობაზე, რგოლის წინამძღოლის მოვალეობაზე, კოლექტივის წინამძღოლზე და სხვა საკითხებზე—ამით ჩვენ შეგნებულად დავებმარებით კომკავშირის კოლექტივების ხელმძღვანელობის საქმეში.

ა. ასტაშევა.



კომკავშირის უჯრედი მხმარება *)

— „საქართველოს ახალგაზრდათა ლენინური კომუნისტური კავშირის უჯრედი.“

ძლივს გააჩნია ვანომ წარწერა, რომელიც ახ-კომკავშირის უჯრედის ბინის კარებზე იყო გამო-კრული.

— აქ უნდა შევიდეთ? იკითხა მან.

— ხო, აქ შემოდი! უპასუხა მიხომ.

ვანომ კარი მორცხვად შეაღო და ოთახში შევიდა.

— ოჰ! ვანოს გაუმარჯოს!

— საიდან?

— აქ რა გინდა!

— აქ როგორ მოხვდი?!

უყვირეს აქეთ-იქიდან.

ბავშვების უმრავლესობა ნაცნობი აღმოჩნდა.

ბევრი მათგანი ვანოს და გოგის ბინასთან ცხოვრობდა.

ერთი მეზობლის ბავში მეორე ოთახში გავიდა და კომუჯრედის მდივანი იკითხა.

— სამუშაოდ წასულა სახელოსნოში!

სთქვა მან გამოსვლისას.

— თუ მისი ნახვა ძლიერ გჭირდებათ, მე გა-გაცილებთ!

ბავშვები წავიდნენ მეორე ეზოში, სადაც დიდი, ოთხსართულიანი შენობა იყო ამართული.

სახელოსნოში შესვლისთანავე მათი ყურთა-სმენა მანქანების ბორბლების გრიალმა და ძრავების გუგუნმა მოიცვა.

— ეგერ, დიდ მანქანასთან რომ ყმაწვილი ზის, ის არის კომუჯრედის მდივანი. მისი გვარი მერკვი-ლაძეა. მიდით მასთან! მაგრამ ფრთხილად! მანქა-ნებს ერიდეთ!

*) დასასრული.

სთქვა კომკავშირელმა, რომელმაც ვანო მოა-ცილა.

უჯრედის მდივანმა მერკვილაძემ, როგორც კი ბავშვების მისვლა შენიშნა, მაშინვე მანქანა შეაჩერა და მათთან ერთად დერეფანში გამოვიდა.

— ყოჩაღ, ბიჭებო, — კარგი საქმე მოგიფიქრე-ბიათ!

დაიძახა მან და ვანოს ბეჭზე ხელი შეაფლო, როც უკანასკნელმა გააგებინა მას ბავშვების სურვი-ლი პიონერთა ორგანიზაციის მოწყობის შესახებ.

— დღეს საღამოს 5 საათზე უჯრედში მოღ-თ: ბიუროს სხდომა გვექნება, — თქვენ საკითხსაც გავარ-ჩევთ. ახლა კი სამუშაოს დატოვება არ შემიძლია. ხომ მოხვალთ?

— მოვალთ. იქ მოვალთ!

მხიარული გაღიმებით შესძახეს ბავშვებმა და ეზოში გამოვიდნენ.

საღამოს სრულ ხუთ საათზე ისინი უკვე კომ-კავშირის უჯრედის შენობაში იყვნენ.

კრება ჯერ კიდევ არ იყო დაწყებული.

ვანო ლევან ჩიხლაძეს მოუხდა, რომელიც მი-სი კარგი ნაცნობი იყო და დაუწყო მას გამოკით-ხვა იმის შესახებ, თუ რას ნიშნავს ბიურო და რას აკეთებენ უჯრედში კომკავშირელები. აღმოჩნდა, რომ სახელოსნოში ორას კომკავშირელზე მეტი მუშაობდა. ისინი კვირაში ერთხელ იკრიბებოდნენ, მაგრამ როცა რაიმე სერიოზული საკითხი იჩნებოდა, მაშინ გროვდებოდა თორმეტი, საერთო კრებისგან არჩეული, კომკავშირელი. ისინი საინტერესო სა-კითხებს ჯერ თვითონ არკვიდნენ და თათბირის შემდეგ საერთო კრებაზე გადაჰქონდათ.

მოვიდა კომკავშირის უჯრედის მდივანი.

კრება დაიწყო.

— პირველი საკითხია ამხ. გენო ბრეგვიძის მოხსენება პოლიტგანმანათლებელი მუშაობის შესა-

ხებ, სთქვა მერკვილაძემ, — შემდეგ უნდა გავარ-
ჩიოთ საკითხი ნორჩ პიონერთა ორგანიზაციის მოწ-
ყობის შესახებ, რომლის გარშემო მოხსენებას გააკე-
თებს... ამხანაგო! თქვენი გვარი?

შეკითხა ის ვანოს და თან უკანასკნელისკენ
მიიხედა.

ყველა ვანოს მიაჩერდა.

— ზარიძე.

უპასუხა ვანომ და თან ქარხალივით გაწითლდა.

— მოხსენებას გააკეთებს ამხანაგი ვანო ზარიძე.

— მე არ შემძლია ლაპარაკი: შენ გააკეთე!

ფიურჩულებოდა ვანო გოგის და თან მუჯლუ-
გუნს ცემდა, რომ მისი მდგომარეობის სერიოზუ-
ლობა ამით უფრო ეცნობებოდა.

— ნუ მორცხვობ: ხომ არაფერ გქმს, როგორ
შეიძლება!

ამხნევებდა მიხო.

გენომ, რომელსაც ბავშვები „პოლიტგანს“ უძა-
ხოდენ, აღნიშნა, თუ რამდენი კომკავშირელი დაი-
არება პოლიტ-სკოლებში და წრეებში და რა შეის-
სწავლეს მათ იქ უკანასკნელი თვის განმავლობაში.

როდესაც გენომ დაასრულა თავისი მოხსენება,
მას მრავალი შეკითხვა მისცეს.

გენომ თითოეულ მათგანზე გასცა პასუხი.

როდესაც შეკითხვები ამოიწურა, მდივანმა სი-
ტყვა ვანოს მისცა.

ვანო წამოდგა.

გაწითლდა.

დაიბნა.

ძალია მოიკრიბა და აღნიშნა, რომ ყველა ბავ-
შების სურვილია პიონერთა კოლექტივის მოწყობა
და კომკავშირელებს თხოვენ დახმარებას.

მის სიტყვებში იმდენი სიფაქიზე და გულ-
წრფელობა იხატებოდა, რომ როცა სიტყვა დაასრუ-
ლა, ყველამ ტაში დაუკრა.

შემდეგ მას შეეკითხნენ, თუ რამდენი ბავში მოი-
თხოვს პიონერთა ორგანიზაციის მოწყობას და ვინ
არიან მათი მშობლები.

ვანო გათამამდა და შეკითხვებზე მშვიდი და
გარკვეული პასუხი გასცა.


კომკავშირის ბიუროს წევრებმა 20 წუთს ითა-
თბირეს და შემდეგ უჯრედის მდივანმა ანდრო მერ-
კვილაძემ შეატყობინა ბავშვებს, რომ მათ დაადგინეს
მოაწყონ პიონერთა კოლექტივები და მათ შესაფე-
რი კლუბიც უშოვონ.

— მუშაობის გასაადვილებლად ჩვენ გაძლევეთ
ხელმძღვანელს, — აი, ამ კომკავშირელს!

დაუმატა მან და ერთ ამხანაგზე მიუთითა, რო-
მელიც მის გვერდით იდგა.


— ნახევარი საათის შემდეგ ბავშვები ეზოში შე-
კრიბე, მეც იქ მოვალ!

სთქვა ხელმძღვანელმა და ბავშვებს გაუღიმა.



სანიტარული წრე კოლექტივში.

ძინ გეგობა
— ანტონ



* * *

ნახევარი საათის შემდეგ ეზოში ერთი აურზაური იყო.

ყველა შენობიდან მოგროვილიყვნენ ბავშვები და ხელმძღვანელის მოლოდინში „ქორობიას“ თამაშობდნენ.

უფრო მოზდილი ბავშვები ვანოსთან და გოგისთან იყვნენ შეჯგუფული და ყურს უგდებდნენ მათ ლაპარაკს კომკავშირის უჯრედის ბიუროს სხდომის და ახალი ხელმძღვანელის შესახებ.

— ქალებსაც მივიღებთ?

იკითხა თომამ.

— მივიღებთ.

უპასუხა ვანომ.

მალე კომკავშირისაგან დანიშნული ხელმძღვანელიც მოვიდა და უცებ ბავშვები მას შემოეხვივნენ.

— მოდიო, ამხანაგებო, ჯერ ერთმანეთი გავიცნოთ. ნე კოტე მქვიან!

წარმოსთქვა მან.

ბავშვებმა, თითქოს ეს ეს არის ენა აიღვესო, ყველამ ერთად დაიწყეს თავისი სახელების ძახილი. გიგო კი მათ სახელებს თავის მხრივ რაიმე ზედმეტ გასახელებელ სახელს უმატებდა.

— დამზვიდლით! დამზვიდლით! თორემ ასე მაინც ვერაფერს გავიგებ, — დაიძახა კოტემ.

ბავშვები მართლაც დამზვიდდნენ. მის გვერდით ჩამოჯდნენ და 10-15 წუთს უსმენდნენ კოტეს იმის შესახებ, თუ ვინ არიან პიონერები და რა არის მათი მოვალეობა.

საუბრის შემდეგ თამაშობა გააჩაღეს.

კოტე ისეთ ახალ თამაშობებს იგონებდა, რომ ისინი სრულებით არ ჰგავდნენ ძველებს და ბავშვებში განსაკუთრებულ აღტაცებას და სიამოვნებას იწვევდნენ. ერთი მათგანი ხუთჯერაც კი გაიმეორეს.

რამდენიმე ხნის შემდეგ ბავშვებმა მოილაპარაკეს, რომ მეორე დღეს საღამოს 5 საათზე ისევ შეგროვილიყვენ და სიმღერით დაიშალონ თამაშობით დაქანცულები.

ხუთი პიონერი კი, რომელნიც კოლექტივის მოწყობას მეთაურობდნენ, ბავშვების დაშლის შემდეგ კომკავშირის უჯრედში წავიდა.

— იციო, რა გითხრათ, ბავშვებო, სთქვა კოტემ, ჩვენ ისეთი რამ უნდა გავაკეთოთ, რომ მუშებმა გაიგონ, რომ ჩვენ პიონერები ვყავს. მე შემომაქვს ასეთი წინადადება: მალე ჩვენ ვიდღესასწაულებთ საერთაშორისო ახალგაზრდობის დღეს—მას ყველა ქვეყნის კომკავშირელები დღესასწაულობენ.

ჩვენთანაც სახელოსნოში დღესასწაულს მართავენ. მოდი მოვამზადოთ რაიმე პიესა და გამოვიდეთ ამ დღესასწაულზე.


— მერე შეგვიშვებენ?—იკითხა თომამ.

— შეგვიშვებენ, რა თქმა უნდა, შეგვიშვებენ! უპასუხა კოტემ.—ხვალიდან დავიწყებთ ს. მზადის ამ დღესასწაულისთვის.

პირველი ნაბიჯები.

ახლოვდებოდა ახალგაზრდათა საერთაშორისო დღე.

ბავშვები, რომლებიც ხშირად დადიოდნენ კლუბში და იცნობდნენ მის ცხოვრებას, უყურებდნენ, თუ როგორ ემზადებოდნენ ამ დღისთვის მათი უფროსი ამხანაგები—კომკავშირელები—და ცდილობდნენ თვითონაც არ ჩამორჩენოდნენ მათ.



ლენინის კუთხე კოლექტივში.

მზადება გაცხარდა: პიონერები ორ ცოცხალ სურათს დგამდნენ, შემდეგ შეისწავლეს ფიზკულტურიდან ჩამოდენიმე ლამაზი და თავისუფალი მოძრაობა.

პიონერები, რომლებიც არ ღებულობდნენ მონაწილეობას მზადებაში, კვირაში ერთხელ იკრიბებოდნენ და მათ კოტე ამატადინებდა.



პიონერები ამზადებენ კედლის გაზეთის მორიგ ნომერს.

ბოლოს გათენდა ახალგაზრდათა საერთაშორისო დღე.

სალამოს მუშათა კლუბში, მოკლე მოხსენების შემდეგ, რამოდენჯერვე გამოვიდა კომკავშირის დრაწრე.

სალამო მშვენივრად ჩატარდა, რის შემდეგ სცენაზე ავიდა უჯრედის მდივანი და განაცხადა, რომ ახლა გამოვა სახელოსნოსთან ახლად შემდგარი პიონერთა დრაწრე. როცა გოგი ამოძვრა სცენაზე და უამრავი მაყურებელი დაინახა, დაიბნა, თავის როლიც დაავიწყდა და რაღაც ლულულუდი დაიწყო, მაგრამ მისი სიტყვები კაკომ სთქვა და ხალხს არაფერი არ შეუშინებია.

პიონერების გამოსვლის შემდეგ სცენაზე კიდევ უჯრედის მდივანი ავიდა და უფროსი ამხანაგების—კომკავშირელების—სახელით აღუთქვა პიონერთა ორგანიზაციას ზრუნვა და დახმარება.

სალამო გვიან გათავდა.

შინ მიმავალი ძილმოკიდებული პიონერები კი ფიქრობდნენ; „რა კარგია ისეთი დამხმარების და მეგობრების ყოლა, როგორც კომკავშირელები არიან და რა ბედნიერები არიან ისინი, კომკავშირელები, იმიტ, რომ მათ აქვთ თავისი კლუბი.

ბავშვების იმედებმა ფრთები გამოისხა.

როდესაც მეორე დღეს სახელოსნოში მივიდნენ მუშებმა ისინი იცვნეს და მხიარული ოხუნჯობით შეხვდნენ. საქარხნო კომიტეტში კი მათ გამოჰკითხეს, თუ რა სჭირდებოდა მათ კოლექტივს.


საქარხნო კომიტეტის თავმჯდომარემ დაუძახა კიდევ ერთ ამხანაგს და დიდხანს მას რაღაცაზე ელაპარაკა, შემდეგ ადგა და ბავშვებთან ერთად სადღაც წავიდა.

თავმჯდომარემ ისინი ერთ მშვენიერ და მაღალ კომუნის სახლში მიიყვანა, აჩვენა მათ ორი ოთახი და უთხრა:

— ეს ორი ოთახი თქვენი ორგანიზაციის განკარგულებაში იქნება. აქ თქვენ შეგიძლიათ მოაწყოთ სამუშაო ოთახი, იქ—შეინახოთ საქირი ბავშვები. თქვენი სათამაშოების და სხვა საქირებისათვის თანხის გადასადებლად კომოვილაპარაკებთ საფაბრიკო კომიტეტის სხდომაზე.

ბავშვებმა გულწრფელი მადლობა გადაუხადეს და თავისი კლუბის დასათვალისწინებლად წავიდნენ.

ოთახების გარეგნობამ ძლიერ დაალონა ბავშვები, რადგან ორივე ოთახში შპალიერის დახეული იყო, ქერი და იატაკი დაზიანებული, ფანჯრები ჩალეწილი.



— რას ჩამოგიშვიათ ცხვირი? — უთხრა ამხანაგებს ვანომ. — გირჩევთ, როგორ გამოვიდეთ ამ მდგომარეობიდან. ვიყიდოთ შპალიერი, ცარცი, შუშა და ჩვენ თვითონ შევუდგეთ ამ ოთახების შეკეთებას. — თქვენ გგონიათ არაფერი გამოგვივა? — „ძალა ერთობაშია“ — ჩვენი გაკეთებული კი, რაც უნდა იყოს, ჩვენთვის ძვირფასი იქნება და უფრო ფრთხილად მოვეპყრობით.

— ჩემი მამა მღებავი იყო — შეჰყვირა გოგომ — მე ვიცი, როგორ უნდა ცარცის წყალში გახსნა და კედლების შეთეთრება.

— მე კი შუშების ჩასმა ვიკი. — სთქვა გოგომ. ასე დაიწყეს მათ კლუბის მოწყობა.

ძვირფასი საჩუქარი.

პიონერთა ორგანიზაცია სწრაფად გაიზარდა. ახლა იქ უკვე ოცდაათი ბავში ირიცხებოდა. მათ შორის 12 ქალი.

ისინი პატარა ჯგუფებად დაიყვნენ. ჯგუფში ათი კაცი ირიცხებოდა.

თითოეულმა ჯგუფმა ამოირჩია თავისი ხელმძღვანელი.

სულ სამი ხელმძღვანელი აირჩიეს: ვანო, გოგი და ბაბო.

ხელმძღვანელები სათათბიროდ კოსტასთან იკრიბებოდნენ, თათბირზე აწესრიგებდნენ ყველაფერს მუშაოს.

ერთ-ერთ თათბირზე დასვეს საკითხი იმის შესახებ, თუ როგორ გაენაწილებიათ ოთახები და დადგინეს, რომ დიდ ოთახში მოაწყობდნენ სახელოსნოებს, იქვე მოაწყობდნენ საუბრებს და ნაწილს ოთახისას დაუთმობდნენ ფიზიკურ ვარჯიშობას მეორე ოთახში მოაწყობდნენ. სამკითხველოს.

წიგნების შკაფი უკვე შეიძინეს.

თვით პიონერებმა შესწირეს თავის სამკითხველოს წიგნები და საკმაოდ მოზრდილი ბიბლიოთეკა დააარსეს.

თითოეულ ჯგუფს დაეთმო პატარა-პატარა კუთხეები. ვანოს ჯგუფმა სამხედრო კუთხის მოწყობა იკისრა. ჟურნალებიდან ამოიღო სურათები წითელი ლაშქრის ცხოვრებიდან. თვითონაც დახატა რამოდენიმე მხედარი და საომარი იარაღი და კედელზე ჩამოჰკიდა. მის კუთხეს დაერქვა „გუშაგი“.

ბაბომ „ურწმუნოთა“ კუთხე მოაწყო.

კედელზე ჩამოკიდა სხვადასხვა ხალხების ღმერთები, ამოიღო სურათები ჟურნალი „ულმერთოდან“ და ეკლესიის და მჩრეთების ნახატები.

„ახალი სოფლის“ კუთხეში გამოაფინეს სურათები, რომელიც ხატავდა, თუ როგორ ეხმარებიან მუშები გლეხებს ახალი ცხოვრების მოწყობაში და როგორ უნდა დამყარდეს მუშათა და გლეხებს შორის ძმური კავშირი.

სამკითხველოში დიდის ამბით მოაწყვეს „ლენინის კუთხე“, რაშიც ყველა მამილა მონაწილეობდა. კაკო კლუბის გამგედ აირჩიეს. თიკოს ბიბლიოთეკა ჩააბარეს.

ახალმა კლუბის გამგემ დასწერა და კედელზე ჩამოკიდა წესები იმის შესახებ, თუ როგორ უნდა უნდა დაეჭირათ თავი კლუბში, ვის როდის რა უნდა დაეღაგებია და სხვა.

კლუბის უმთავრესი საქმეები დამთავრდა. საბჭომ გადასწყვიტა კლუბის გახსნა პირველი ოქტომბრისათვის.

კლუბის გახსნას დაესწრნენ პიონერების მშობლები, კომკავშირელები და კომუნისტები — სახელოსნოს მუშები.

ყველა სიამოვნებით ათვლიყრებდა მათ ნაშრომს და აქებდნენ ბეჯითობისათვის.

მშობლებმა საჩუქრებიც კი მოიტანეს.

საქარხნო კომიტეტის თავმჯდომარემ სიტყვა მოითხოვა.

სიჩუმე ჩამოვარდა.

უცებ კარი გაიღო და ორი მუშა შემოვიდა, რომელთაც შემოიტანეს სხვადასხვა ხელსაწყო და ბიბლიოთეკა.

შეკვრაზე წითელი ასოებით ეწერა:

„შრომაში და სწავლაში იყავ ლენინელი“
ძილი კი წვრილად წაეწერათ: **„ჩვენს შემცვლელ თაობას — სახელოსნოს მუშებისაგან“.**

ბავშვები აღტაცებაში მოვიდნენ.

ბავშვებმა სთქვეს ლექსები და იმდერეს პიონერული სიმღერები, შემდეგ მზიარული ჟვილ ხივილით დაიშალენ.

კლუბის კარებზე კი ბრწყინავდა ახალი წარწერა:

ნოჩრ პიონერთა კლუბი

გ ე გ მ ა.

— ყოველგვარი მუშაობის გეგმა უნდა გამოვიმუშაოთ, რაკი დავადგინეთ წრებმა და კუთხეებმაც ლენინურად დაიწყონ მუშაობა, — სთქვა ვანო ზარიძემ.

ვანოს წინადადება ერთხმად მიიღეს.

ერთმა ნაწილმა კუთხეების მუშაობის გეგმა შეადგინა, მეორემ — ფიზიკური ვარჯიშობის განაწილება, მესამემ გაარჩია საკითხი, თუ როგორ უნდა ჩაატაროს პიონერმა თავისი სამუშაო დღე.


შემდეგ ეს საკითხები პიონერთა საერთო კრებაზე ვაარჩიეს და ერთხმად დაამტკიცეს.

მეორე დღეს კაკომ, რომელიც საუცხოვოდ ხატავდა, კლუბში დიდი პლაკატი მოიტანა, რომელზეც კოხტად და გარკვევით იყო დაწერილი ყველა ის დადგენილება, რომელნიც პიონერთა საერთო კრებამ მიიღო.

დადგა ლენინის გლოვის დღეები. ბავშვებმა ბევრი ისაუბრეს ლენინის ცხოვრების შესახებ და მრავალი წიგნი წაიკითხეს ილიჩის გარშემო.

ლენინის ხსოვნის აღსანიშნავად მოწვეულ ერთ-ერთ კრებაზე მათ ფიცი დასდეს, რომ არცერთი მათგანი არ უღალატებს ლენინის ანდერძს და ლენინურად იმუშავებენ.

ს. კამარაული



პიონო-მსახრობი პიონო

ცოტა ხნის შემდეგ ისინი მადგენ შენობას,*) რომლის კარზე შემდეგი წარწერა იყო: „შემოსვლა უკნო პირთათვის აკრძალულია“. ისინი შევიდნენ ოთახში, მიესალმნენ ფოტოგრაფს.

— დააკვირდი ამას, მიშავ, — უთხრა ბორიამ, — ხომ ხედავ ამ ყუთს? ესაა სწორედ ფოტოგრაფიული აპარატი. აი შეუხაც, რომელსაც ჩვენ ობიექტივს ვეძახით. ამ შეუხის საშვალეებით აპარატის შიგნით ეცემა სხივები პლასტინკას. მაგრამ სჯობს თვითონ ფოტოგრაფს ვუყუროთ.

ფოტოგრაფმა ოთახში ჩააქრო სინათლე და სამაგიეროდ წითელი ლამფა აანთო.

— ეს რა ნიშნავს? — იკითხა მიშამ.

— ხომ ხედავ ფოტოგრაფიული პლასტინკას, როგორ იცვლის ფერს განსაკუთრებული სხივების გავლენით.

ფოტოგრაფმა ამ დროს ამოიღო ყვითელი ფერის მბრწყინავი დაფა და ჩაუშვა იგი რალაც სითხეში. ბორისმა აუხსნა მიშას:

— აი იმ პლასტინკას დაეცა სინათლის განსაკუთრებული სხივები და გამოიწვია მასში ცვლილება. სადაც სინათლე კარგად მოქმედებდა, ის ადგილი მოშავოა, სადაც ნაკლებად — იქ მოთეთროა.

მიშა აკვირდებოდა პლასტინკას, რომელიც ფოტოგრაფმა სითხიდან ამოიღო, მაგრამ ვერაფერს მიხვდა.

— ეს რა ამბავია, ზანგები ხომ არ არიან?

— ზანგებია? არა! ჩვეულებრივი ადამიანებია.

ადამიანის სახე თეთრია, მაშასადამე ის უმთავრესად სინათლეს იძლევა და ეს ადგილი პლასტინკაზე შავადაა. შავი ტანსაცმელი და შავი თმა სამაგიეროდ თეთრადაა აქ აღბეჭდილი.

ფოტოგრაფმა სურათი გაამზადა. მიშამ დახედა და წამოიძახა:

— რა საოცრებაა!..

— არა, ეს არავითარი საოცრება არ არის!

საოცრება ბუნებაში არ არსებობს. არ არსებობს არცერთი საიდუმლოება, რომელსაც ადამიანის გონება არ მიწვდეს.

მიშას შერცხვა და წაიჩურჩულა:

— მეც ვიცი, რომ საიდუმლოება არ არსებობს. მე უკვე პატარა არ ვარ, მაღე პიონერი უნდა გავხდე. ოთახი დატოვეს და ქუჩაში გამოვიდნენ. მიშა ფიქრებმა გაიტაცა. ფიქრობდა იმაზე, რაც ნახა, მოაგონდა სოფელი, სოფლის ანკარა დეღე.

დღეები მისდევდა დღეებს.

გადაღებები ხშირი იყო.

შემოდგომისათვის უნდა მოესწროთ.

მიშამ შეარჩია დღე, როცა ივანე თქისუფალი იყო, და გამოკითხვა დაუწყო.

— ძია, რატომ მოძრაობენ ფიგურები კინემატოგრაფში?..

ივანეს გაუხარდა მიშას ასეთი ცნობისმოყვარეობა.

— შენ უკვე იცი ცოტა რამ კინემატოგრაფის შესახებ. ადამიანმა ამით გააცოცხლა ფოტოგრაფია, მისცა მას მოქმედება.

ერთ მშვენიერ დღეს ამერიკელი მეცნიერი ედისონი მივიდა იმ დასკვნამდე, რომ თუ ლენტზე დამწკრივებული იქნებოდა მთელი რიგი თანმიმდევრობით ვადაღებული სურათებისა, მოძრაობის დროს ის შექმნიდა რაიმე მოქმედების შთაბეჭდილებას.

ედისონი ამ გამოკვლევებით, რასაკვირველია, ეყრდნობოდა ადამიანის თვალს. საქმე ისაა, რომ შთაბეჭდილება ინახება რამოდენიმე წუთით. აი მაგალითად, გაიხედე ჯერ ფანჯრისკენ და შემდეგ უცებ დახუჭე თვალები, რა მოხდეს?!

— ვხედავ ფანჯარას, მაგრამ ახლა უკვე გაქრა.


— დიახ, ასე ხდება. მე რომ ახლა ბნელ ოთახში ანთებული პაპიროსი ვატრიალო, შეიქმნება შთაბეჭდილება მთელი ცეცხლის რგოლის, სინამდვილეში კი არავითარი რგოლი ან წრე არ იქნება.

— ეს მეც მიცდია! — წამოიძახა მიშამ.

— მაშასადამე, ყველაფერი ეს დამოკიდებულია თვალის შთაბეჭდილებაზე, რომელიც გონებაში ინახება განსაზღვრული ხნით.

ახლა წარმოიდგინე შემდეგი: ჩვენ მოძრაობაში მოგვეყავს მთელი რიგი სურათებისა. ჩქარი მოძ-

*) დასაწყისი იხ. „პიონერის“ № 3.



როგორც ისეთ შთაბეჭდილებას შექმნის, თითქმის ერთ მთლიან სურათს ვუცქერდეთ. მაგრამ საინტერესოა უფრო თვით სურათის გადაღების პროცესი.

შენ უკვე ნანახი გაქვს კინემატოგრაფიული ლენტი, რომელსაც კიდევ სხვანაირად პლიონკას უწოდებენ. ეს ლენტი გაკეთებულია ერთგვარი ცელულოიდის შემადგენლობიდან, რომელიც თავისთავად გამჭირვალე და მოქნილ ნივთიერებას წარმოადგენს.

იგი იჭრება განსაკუთრებული ზომის—სიგრძით 35 მილიმეტრი, სიმაღლით 19; თითოეული ლენტი იტევს სულ 52 სურათს. ლენტის ნაპირები დასვრეტილია, რომლის საშუალებით ის მოძრაობაში მოჰყავთ.

კინოაპარატი წარმოადგენს ჩვეულებრივ ფოტოგრაფიულ კამერას. მაგრამ ეს შენ უკვე გინახავს; როგორც იცი, აპარატი წარმოადგენს მექანიზმს, რომელსაც მოჰყავს მოძრაობაში ლენტი. მისი მოძრაობა გადაღების დროს ხდება. მექანიზმი, რომელსაც მოძრაობაში მოჰყავს პლასტინკა, თავის მხრივ მოძრაობაში მოდის განსაკუთრებული ტარის ტრიპლით. წაშში სწარმოებს 16 სურათის გადაღება, წუთში 960. მაშასადამე, ხომ მიხვდი რაც გითხარი?

— მიხვდები.

— აბა წავიდეთ და დავათვალიეროთ თვითონ ეს ყველაფერი.

მიშა და ივანე შევიდნენ ერთ ბნელ ოთახში, სადაც ერთი მხოლოდ ერთი წითელი ლამფა.

წითელი ფერი ვერ მოქმედობს პლიონკაზე, სხვა ყოველგვარ სინათლეს შეჰქონია ფილმის გაფუჭება, ამიტომ მუშაობა ხდება სიბნელეში წითელ სინათლეზე. ხომ ხედავ, ფილმას უხარმაზარ ჩარჩოებზე ახვევენ და წყლის სითხეში უწებენ ამას ნეგატივის პროცესი ეწოდება.

მეორე ოთახში მიშამ დაინახა უხარმაზარი ბარაბანი, რომელზედაც დახვეული იყო პლიონკა.

— აი, აქ პლიონკა შრება, მიშა!

ბოლოს შევიდნენ ერთ ოთახში, სადაც უამრავი ქალი მუშაობდა. ისინი სწრაფად სჭრიდნენ და აწებებდნენ უკვე გამზადებულ ფილმას.


— ამას რათ შვრებიან, ძია?—იკითხა მიშამ.

— შენ უკვე იცი, რომ კინემატოგრაფიის ლენტს განსაკუთრებული ზომა აქვს. ამიტომ მას სჭრიან ნაწილებად, რომ უფრო ადვილი საჩვენებელი იქნეს. ზოგს აწებებენ იმისათვის, რომ სხვადასხვა ადგილებში, სხვადასხვა პლასტინკებზე გადაღებული სურათები შეაერთონ და ამრიგად ერთი სურათი შექმნან.

ამ მუშაობას კი, რომელსაც ეს ქალები ასრულებენ, მონტაჟი ეწოდება.

ქალები სწრაფად მუშაობდნენ. სწრაფად ტრიპლებდნენ კოჭები, რომელზედაც დახვეული იყო პლიონკა.

ამ მოძრაობიდან და ამ ახალი შთაბეჭდილებებისგან მიშას თავი ასტკივდა. სადილობისას, როცა მივიდნენ შინ, ივანემ ჰკითხა:



ბუნების კუთხე კოლექტივში.

— ჩემო კარგო, ახლა ხომ ხედავ, რა რთულია სურათების წარმოება კინემატოგრაფიისათვის, რამდენი ადამიანი მუშაობს მასზე, დაბოლოს გეტყვი მოკლედ იმასაც, თუ როგორ კეთდება კინემატოგრაფიული ლენტი: სცენარისტი სწერს სცენარს, რეჟისორი მას ამუშავებს და იწვევს მსახიობებს, მსახიობები ადგენენ იმას, რაც საჭიროა სცენარის მიხედვით, ფოტოგრაფი კი იღებს მას; ამ ფოტოგრაფს ოპერატორს ვუწოდებთ. შემდეგ პლიონკა მიდის ლაბორატორიაში, სადაც აკეთებენ პოზიტივს, პოზიტივს ათვალიერებს რეჟისორი და შემდეგ ასწავლის ქალებს, როგორ უნდა აწარმოონ მონტაჟი; ამის შემდეგ სურათი მზადაა და მიდის კინემატოგრაფში. ხომ რთული და მძიმე საქმე ყოფილა ეს ყველაფერი, მიშა?

— საშინლად რთული და მძიმე ყოფილა, — დაუპოწმა მიშამ.



პიონერები ამზადებენ შეშას კოლექტივის ბინის გასათბობად.

ზაფხული ისე გავიდა, რომ მიშამ ვერც კი შე-
ნიშნა ის. უკანასკნელი მზის სხივები ძლივს ათ-
ბობდა მიწას. ივანემ ერთხელ დაუძახა და უთხრა
მიშას:

— იცი, მიშა, უკვე ყველაფერი დამთავრდა.
ახლა პეტრე მიხეილისძე ათვალეირებს სურათის ნა-
წილებს, მალე მონტაჟში გატარდება, შემდეგ შესა-
მოწმებლად ჩვენც გვანახებენ და როცა საბოლოოდ
მას მოიწონებს ფაბრიკის სამხატვრო საბჭო, მას
საქვეყნოდ აჩვენებენ.

მიშა მოუთმენლად მოელოდა იმ დროს, თუ
როდის ნახავდა თავის თავს ეკრანზე და ისე მოა-
ბეზრა თავი ივანეს, რომ უკანასკნელი იძულებული
შეიქნა გაწყრომოდა მას.

დღეები მისდევდა დღეებს.

თანდათან ყვითლდებოდა და ცვიოდა ფოთლე-
ბი ხეებს, ბალები ყველგან მოიფინა ფოთლების
ნახებით. საღამოობით ცივი ქარი ბერავდა. დადგა
ბნელი და გრილი ღამეებიც.

აი, წვიმის პირველი წვეთებიც დაეცა ქვაფე-
ნილებს და წვრილი-წვრილი წვეთებით დაიწყო
ცრა წვიმამ. აღრიანად ანთებდენ სინათლეს. მო-
წყინდა უსაქმობისაგან მიშას და წიგნების კითხვას
მიჰყო ხელი. მაგრამ ერთ საღამოს შინ დაბრუნდა
ივანე და განუცხადა მიშას, რომ წაყოლოდა სუ-
რათის გასინჯვაზე.

მიშას სიხარულს საზღვარი არ ჰქონდა. სასწრა-
ფოდ ჩაიცვა ტანთ. ჩასდენ ტრამვაიში და მალე
ფაბრიკაში მივიდენ. პატარა ოთახში ისხდენ რეჟი-
სორი, მსახიობები და სამხატვრო საბჭოს წევრები.
მიშა მოეწყო კუთხეში. სინათლე ჩაქრა და ეკრანზე
გამოჩნდა წარწერა:

„თეთრების ზურგს უკან“.

მიშამ დაინახა თავისი თავი ყორზე. მას მიუა-
ხლოვდა ოფიცერი. მიშამ აჩვენა მას ენა და გაიქცა.
აი ის თხოულობს მოწყალებას. მიშას დაავიწყდა,
რომ ეს მისი პირველი გადაღება იყო.

სურათი მისდევდა სურათს.

აი, თეთრები გარბიან. მათ თავს ესხმიან წი-
თელარმიელები, აი კონტრდაზვერვა. აი, მიშა სახ-
ლის სახურავზე მიცოცავს. აი, მღვდელი ლოცავს
თეთრგვარდიელებს.

აგონდება მიშას, სად, როგორ იღებდენ სურა-
თებს და ყველაფერი ეს როგორ კარგადაა აქ თავ-
მოყრილი.

ეკრანზე გაირბინა სიტყვამ „დასასრული“.

მიშას უამრავი შთაბეჭდილება დარჩა.

ესმოდა, როგორ აქებდენ. სურათის გარშემო
ბაასი გაიმართა. მაგრამ მალე მიეძინა და მხოლოდ
მაშინ გამოეღვიძა, როცა ეტლიდან ჩამოსხა იგი
ივანემ.

ალბათ გზაში გაცივდა მიშა, ღამით შეაცხებლა და ბოდვა დაიწყო. ელანდებოდა, თითქოს თავზე დეკორაციები ემსხვრეოდა, ქუჩაში დადიოდა სამათხოვროდ. ასე გავიდა სამი კვირა.

ღილიდან კარგი მზიანი დღე დაიჭირა. გაანათა საავადმყოფოს მთელი ოთახი, სადაც რამოდენიმე ლოგინი იდგა და ზედ ავადმყოფები იწვნენ. მზის სინათლემ გამოათხიზლა მიშაც. მოწყალების და მივიდა მასთან და ჰკითხა:

— როგორ ხარ, მიშა?

მიშამ არ უპასუხა, გააღო თვალები და გაკვირვებულმა დაუწყო თვალღებვა გარშემო ოთახს და ბოლოს სუსტი ხმით იკითხა:

— სადა ვარ!

— საავადმყოფოში, მიშა. შენ მძიმედ იყავი ავად, მაგრამ ახლა არა გიშავს რა. იწექი მშვიდად.

— ძია ივანე სადაა!

— ივანე წავადა, ის ხშირად გნახულობს. იწექი მშვიდად, ახლა გაგიშინჯავ სიცხეს.

გავიდა დღეები. მიშა უფრო გამოძრთელდა. მაგრამ აქვე გაიგო ამბავი, რომ ის საბავშვო სახლში მიუბარებია ივანეს, თვითონ კი ქალაქიდან სულ წასულა. საშინლად ეწყინა. როგორ უყვარდა ძია ივანე, რა უნდა ექნა! შეუამხანაგდა აქ სხვა ბავშვებს

და როცა მთლად გაჯანმრთელდა, ის საავადმყოფოდან გამოსწერეს კიდევ.

საბავშვო სახლში მიშას სხვანაირი ცხოვრება მოუხდა. ღილით აყენებდნენ ადრე, სწარმოებდა ვარჯიშობა—ფიზკულტურა. ეს არ მოსწონდა მიშას და ძია ივანეს იგონებდა. სახლში ბავშვებს კარგად ეპყრობოდნენ, მაგრამ მიშა ვერ შეეთვისა მაინც აქაურობას.

ერთხელ მიშა დერეფანში სეირნობდა; აგონდებოდა პირველი გადაღების შემთხვევა. ამ დროს შემოესმა ხმა:

— მიშა, ნუთუ ეს შენ ხარ?

მიშამ ვერ იცნო ვანო, რომელიც ახლამის წინ იდგა. ის მისი ქუჩის ამხანავი იყო ოდესღაც.

— ნუთუ ვერ მიცანი, მიშავ! მე შენი ამხანავი ვარ, ვანო!

მიშას გაუხარდა.

— შენ აქ როგორ მოხვდი, ვანო!

კომკავშირელებმა დამიკირეს ქუჩაში და მომიყვანეს. მაგრამ შენ თვითონ როგორ მოხვდი აქ. სულ გეძებდი ქალაქში, დაბოლოს ვფიქრობდი, რომ აქ არ იყავი.

— მე მონაწილეობას ვიღებდი კინემატოგრაფიულ გადაღებაში.



ჯავშნოსანი ავტომობილების ასეული, რომელიც მიემხრო აჯანყებულ ხალხს 1917 წლის თებერვალში.

- როგორ?
- აი, სურათებს რომ აჩვენებ.
- სტყუი, მიშა!
- არა.

— მაშ კარგი. მხოლოდ ეს მითხარი, შენ აქ კიდევ დიდხანს აპირებ ცხოვრებას? მე უნდა გავიპარო აქედან. არ შემიძლია აქ ცხოვრება, ვერ ვუძლებ ამ სახლის წესებს.

— ჩემი ფიქრით, აქ უკეთესია, საქმელი მაინც არის! — უთხრა მიშამ.

— პაპიროსის მოწვევის უფლებას რომ არ გვაძლევენ? დამიჯერე, არ ღირს აქ დარჩენა. ჩვენ აუცილებლად წავიდეთ.

ვანოს რჩევა დიდ გავლენას ვერ ახდენდა მიშაზე. საღამო ხანს მიშა მოუყვა მთელ თავის თავგადასავალს, რაც განიცადა და ნახა კინემატოგრაფიის ფაბრიკაში, რანაირ ცხოვრებას ეწეოდა ივანეს ოჯახში, როგორ დადიოდა თეატრში, სწავლობდა და წიგნს. ვანო მოუთმენლად უსმენდა და ბოლოს უთხრა:

— ეს ყველაფერი ტყვილია, მიშა!..

მიშა ფიცილობდა, რომ ტყუილს არ ამბობდა და ისევ უყვებოდა თავისი ცხოვრების ამბებს.

— არ მჯერა მაინც! ტყვილია!.. ჯიუტობდა ვანო.

— თუ ტყვილი არ არის, მაშ აქ რა გინდოდა?

დიდხანს დაობდნენ ამხანაგები ამ საკითხზე. მიშას თანდათან მწუხარება იპყრობდა. აგონდებოდა გავლილი თვეები და ძია ივანე. გადიოდა დღეები. ერთ საღამოს ვანო მივიდა მასთან და უთხრა:

— ამაღამ უნდა გავიპარო, მიშა. უნდა წამოხვიდე. მიშა გუნებაზე არ იყო იმ დღეს. შემოდგომა იდგა და წვიმას აპირებდა. ხეებს ცვიოდა ფოთლები. არ იყო იმედი, რომ ივანე მოიკითხავდა მიშას, ამიტომ გადაწყვიტა ვანოსთან ერთად ისიც გაპარულიყო.

ღამით შენობიდან ქურდულად გამოძვრა ორი ლანდი და ღამის სიბნელეს შეუერთდა.

ქალაქის თავზე ნისლი იწვა. ბავშვები მოთავსდნენ საღდაც სარდაფში, რომელიც უპატრონო ბავშვების თავშესაფარს წარმოადგენდა. კუთხეში გატეხილი ლამფა ბუტავდა. ბავშვების ნაწილს იქვე იატაკზე ეძინა, ნაწილი ქალაქის თამაშში იყო.

მძიმე ჰაერი სულს უხუთავდა მიშას და თავი ცუდად იგრძნო, ვანო კი მხიარულად იცინოდა და უყვებოდა თავის ძველ ამხანაგებს საბავშო სახლის ამბებს. მიშა კარგახანს უსმენდა, მაგრამ შემდეგ ძილი მოერია და იქვე მიწვა იატაკზე.

მეორე დღიდანვე დაიწყო ისევ ძველი ცხოვრება. სიცივე კი თანდათან ძლიერდებოდა. საშინელება იყო დასვრილ — დათითხნილ ქუჩებში ხეტიალი და ფულის მათხოვრობა. ღამ-ღამობით იკრიბებოდნენ ასფალტის საღებავებელ ქვაბში. თბებოდნენ შიკ და თან ამბებს ყვებოდნენ.

ივანე ისევ დაბრუნდა ქალაქში. ბევრი ეძია მიშა, მაგრამ ვერსად ვერ იპოვა. მიშა ამ დროს თავის მხრივ არ იფიქრებდა ივანეს და მუდამ კინემატოგრაფის კარების წინ დადიოდა. მაგრამ ახლა შიგ არაფერი უშვებდა მას. მაგრამ ერთხელ მოხდა ისე, რომ მიშა სახურავიდან გადაიპარა შიგ. მივიდა ახლოს კინემატოგრაფის მემანქანესთან, სთხოვა ეჩუქებია მისთვის კინემატოგრაფიული ლენტები. მემანქანემ მიშას უარი არ უთხრა და აჩუქა უვარგისი ლენტების ნაწილები. იმ დღეს ქალაქში თოვდა.

საღამოს ბავშვები შეიკრიბნენ ერთად, მაგრამ არ იცოდნენ ღამით რა გაეთათ ღამე. ვიღაცამ სთქვა, რომ ერთ მაგობელ სახლის სახურავში ჩამძვრალიყვენ.

ასეც მოიქცნენ. მალე გააჩაღეს ცეცხლიც. მიშამ ამოიღო ლენტები. დაიწყო ლენტების ანთება, მაგრამ ამ თამაშში ჭერს გაუჩინეს ცეცხლი. ცეცხლი ძლიერ მოედო ყველაფერს. ბავშვები აქეთ-იქით გაიქცნენ. მიშა გაშვებული დარჩა. ვერ მოასწრო გაქცევა და დაიჭირეს. იმ ღამითვე წაიყვანეს მილიციაში.

გაზაფხულდა. ისევ ამწვანდნენ ბაღები. მიწა მოიფინა მწვანე მოლით.

იმ ღამის შემთხვევის შემდეგ მიშა ისევ საავადმყოფოში მოხვდა. მაგრამ საავადმყოფოდან პირდაპირ გადაიყვანა თავის ბინაზე ივანემ, რომელმაც გაზეთების შენიშვნის საშუალებით იპოვა იგი.

თითქმის მთელი ზამთარი იავადმყოფა მიშამ.

გაზაფხულზე, როცა გათბა ჰაერი, ბელურებმა ჟღივილით აიღეს ფანჯარა. ივანემ გაამჯავრა მიშა თავის სამშობლო სოფელში.

სოფელში ყოფნა ძლიერ მოუხდა მიშას. მთელი დღეობით კოტრიალობდა მწვანე ველზე. ტანს იბანდა სოფლის დიდ დეღეში. ერთხელაც არ მოუწყენია, რადგან იცოდა, შემოდგომისათვის ისევ დაბრუნდებოდა ივანე და სკოლაში მისაბარებლად წაიყვანდა. უხაროდათ მიშას ბედი მშობლებს, უხაროდათ მეზობლებსაც, რადგან მიშა ყოველ საღამოობით წიგნებს და გაზეთებს უკითხავდა მათ.

ასე მიდიოდა დღეები.

ერთ დღით ქალაქიდან სოფელში მოვიდა ავტომობილი. გლეხები ეხვეოდნენ მანქანას და კვირობდნენ.

ქალაქიდან მოსულებს უნდა ეჩვენებიათ გლეხებისათვის კინო — სურათები. გამართეს ხეებზე ფართე თეთრი ტილო და დადგეს კინო — აპარატი.

საღამოხანს აუარებელი ხალხი მოზავდა.

დაიწყო სურათის გაშვება. ყველანი გაოცებული შეცქეროდნენ. აჩვენებდნენ იმ სურათს, რომელშიაც მიშა ლეზულობდა მონაწილეობას. ხალხმა იცნო მიშა. სურათს მიშაც უცქერდა და გახარებული იყო, რომ მისი კინო-სურათში თამაში მისმა სოფლებმაც ნახეს. ესმოდა სიტყვები:

— ჩვენი მიში კინო მსახიობი ყოფილა...

მის სიხარულს საზღვარი არ ჰქონდა.

სურათის ჩვენება დასრულდა. მიშას შემოეხვიენ მეზობლები და კითხვადნენ კინომატოგრაფის შესახებ. მიშაც უხსნიდა, რაც იცოდა.

თავისუფალი
ბიბლიოთეკა

ხუთი მდინარის სათავუძი



7. ღაბრუნება.

გარეთ თოვს, თოვს ისე, ვით შუაგულ ზამთარში. ნისლეში სრულიად არ ჩანს მიდამო. ასეთი გავითენდა სექტემბრის სამი, გულის გამსივებელი.

როდემდე ვიყო **ვეძათხევში**. აქ ხომ არ შევაბერდებით, წინ უნდა წავიდეთ. შეიძლება გამოიღაროს, თუ არა შეიკვრება გადასავლები; ერთადერთი გზა დაგვჩვენა: **ანდის ყოისუს ნაპირებს** უნდა გავყვით რუსეთისაკენ, კავკაზეზ მოვლა დაგვკიდდება. ეს გარემოება არც ძალიან მაწუხებს, ახალ ადგილებს ვნახავ, ჩემთვის უცნობ მთიელებს... მაგრამ გვაწუხებს ის, რომ თუშეთში მუშაობა მეტად გაძნელდა, ვკრეფთ მცენარეთა ნიმუშებს, თოვლიანს და სველს. მათი გაშრობა მეტად ძნელია...

დილისათვის გადილო თოვლმა, შედგა...

ჩვენც შევკაზმეთ ცხენები და **ვესტმოსკენ** წავედით.

ჩავყვით დაკიდულ ხევს. ს. ვეძათხევს რომ სოფ. **ჯვარბოსელი** უცქერს კლდიდან, მას გავუარეთ და ჩავედით ალაზნის ნაპირს. აქ მდინარე რამოდენიმე კილომეტრზე გავაკებულა, მაგრამ ისე კი არა, როგორც „ალაზნის თავში“. ნაპირებიც დაცემულია, და ვხედავ პატარა-პატარა მინდვრებს, სთესია პური (დოლის) და ღია... რა საგრძნობ სიმალღეზე უნდა იყოს **ვეძათხევი**, რომ აქ ქერიც ხეირიანად ვერ მოდის, რომელიც სამ სექტემბერს ჯერ ისევ მწვანეა და აქ ძირს პურიც კი მოდის, უკვე შეთეთრებულია.

გზა ტყე-ტყე მიდის; ფიჭვი, არყი, ცირცელი, მთრთოლავი ვერხვი და ტირიფი ჰფარავენ ბილიკს, მათი ტოტები დატვირთულია თოვლით და რაკი ფოთოლი ისევ ზედა აქვთ, თოვლის სიმძიმეს დაუტანია და გვიძნელებს ცხენზე ჯდომას...

მხარმარცხნივ ალაზნის გაღმა ამართულია მაღალი კონუსი; ხელოვნურად ჩამოკვეთილსა ჰგავს, თითქმის შევეულია მისი ფერდობები; ვიწრო, მეტისმეტად ხვეული ბილიკი მიდის ზევით (ასეთს ბილიკს თუშები ქირკვალს ეძახიან, რომელიც „გაქირვებიდან“ ან „ჭირიდან“ უნდა იყოს ნაწარმოები, რადგან ასეთ ბილიკზე მოგზაურობა მართლა ძნელია და

საფათერაკოა. და მის ზემოთ სოფელია, „**ბელელა**“, სამი-ოთხი კოშკი ამშვენებს ამ პატარა სოფელს...

ბელელას ქვემოდან ავცდით მდინარის ნაპირს და ავყევით ტყით დაფარულ ფერდობს; ეს **სამყურის წვერის** ჩრდილოეთისკენ გასული ფერდობებია. მაგრამ ვაი ამ აყოლას, ტყიან ბილიკზე გავლა თითქმის შეუძლებელი იყო, თოვლის სიმძიმეს არყის ხეები მიწაზე გაეწვინა... ბილიკი ასეთი დაწოლილი ხეებით იყო ჩახერგილი, ამ ბილიკ გარეშე კი სიარული და წინსვლა შეუძლებელია. მორიგეობით მივდიოდით წინ წერაყინით და დიდი ჯოხით, რომელიც გაბომ ხ.ნჯლით გამოსჭრა.

არ იყო ადვილი ასე გზის გაწმენდა, თოვდა, ციოდა კიდევ, მაგრამ ოფლი ღვართქაფად ჩამოკვდიოდა სახიდან. ხანდახან ძვალი მაინც შეჩერდებოდა ლამაზ სურათზე: ცირცელი, წითელი კუნწულებით დატვირთული, დროშასავით მოჩანდა თეთრ თოვლზე. ბევრს თოვლის სიმძიმისათვის ვერ გაეძლო და გადატეხილიყო წელში... არყის ხე კი, ჩანს, უფრო შეგუებულია ასეთ მოვლენებს, ის თოვლს მხოლოდ დაეხარა; იმდენად დრეკადი აღმოჩნდა მისი ტანი, რომ მიწასთან იყო გასწორებული და არ გატეხილიყო.

ამ ყოფით გავიარეთ სოფლები **ილურთა**, **ბუხურთა** და სხვა რამოდენიმე მეკომური, ვიდრე სოფელი. შევყევით კავკასიონის მთავარი ქედიდან გამომდინარე ნაკადს, სამყურის წვერიდან რომ ჩამოდის, ბუხურთას ძირში რომ გამოივლის. დიდხანს ვიარეთ მის ნაპირ ნაპირ. ხევი მეტად ღრმაა, მდინარე მჩქეფარე. გასვლა არ შეიძლება, სანამ ზევითკენ სადმე არ ვნახავთ ისეთ ადგილს, საიდანაც ადვილი იქნება მეორე ნაპირზე გადასვლა... ეს ვიწრო ხევი ისეა შეკრული, თითქოს ურთიერთთან უნდა მისვლა და ჩვენი მომწყვდევა თავის ორწოხებში, ისეთი ციცაბო ფერდონი ჩამოდიან ორივე მხრიდან; ისეთი უსიერია ეს ნაწილი, რომ უნებლიედ გაფიქრებინებს ამას, ან როგორ არ იფიქრო, როდესაც ნისლეებით ამოვსებულია შუამდე, წვერები ჩანან ალაგ-ალაგ და ამ ნისლეების საბურველიდან, როგორც გალიიდან, ლომსავით მოექანება გაკაპანებული ნაკადი...

აღმა კაი ხნის სიარულის შემდეგ გავლით მეორე მხარეს და კვლავ ქვევით დავეყეთ... გავლით ტყე და თოვლმაც გადილო... ჩვენ წინ გადაჭიმული იყო თოვლით დაფარული ვაკე ადგილი... შორს, ვაკეების დასასრულს, მწყემსები ძროხას მოერკებოდნენ და მოიხმობდა მათი სიმღერა...

— რა უნდა ჰქნას იმ ძროხამ ახლა!...

— ნეკერთ თუ გამოიკვებება, სანამ თოვლი აღნება, — მიპასუხა გაბომ და ჩვენმა ცხენებმაც ფეხმარდად გასწიეს წინ, რაკი ცოტა ვაივაკეს.

მაღე ვადავხედეთ **ს. ვესტომთას**. აქ სახლები ქვისგანვეა ნაშენი, მაგრამ სახურავი კი სხვაგვარია. დანარჩენ ნაწილში ფილაქნის ქვა აფარია, აქ კი ბანები თაა... იღვენ ბანებზე და ნიჩბებით ხვეტავდნენ თოვლს... ჩავლიეთ ვესტომთა, ხევში ჩავედით და ძირს გამოჩნდა თვით **ს. ვესტომი**.

ამ ანგარიშით წამოვედით, რომ იქ დაფრჩენილიყავით და მოვუსწარიოთ კიდევ შეღამებას.

მყის ბინა მიგვიჩინეს და ჩვენი მასპინძელი დატრიალდა, დაანთო ცეცხლი, ყველაზე საჭირო კი ეს იყო, რადგან სულ სველები ვიყავით და საღამოს სუსხისაგან შეცივნულები. ქალი გამოგვეგება, ახსნა ბარგი ცხენებს და არ გვაცდიდა თვით დაკვებინავენბინა.

— თავად სახლში მიბრძანდით, ნამგზავრებ ხართ, დადლილები, — გვეუბნებოდა.

დილით ორწყალს ავედით, ეს მდინარე შენაკადია **გომეწრის ალაზნის**, **ლოჩოსთან** ერთვის მას.

ორწყალი მთაში მრავალ ადგილს ჰქვია; სადაც ორი მდინარე ერთმანეთს ერთვის, ჩვეულებრივად ორწყალს ეძახიან. ეს ორწყალი გომეწრის ორწყალია; **შავ კლდესა** და **ფიწილას** მთებს შორის აქვს სათავე.

დილა იმედინია, ნისლები ნელ-ნელ აიკრიფა, და მზეც გამოჩნდა. თოვლებ ქვეშ მთელი ნათესია; ამ გზით უფრო ქვაფი სთესია... მიწაზეა სრულიად გაწოლილი და ორმოცი სანტიმეტრის სისქე თოვლი აწევს ზევიდან. ერთ ყანას მიფუჯექ გვერდით და ვარჩევ სათითაოდ თავთავებს.

— რაით არჩევ, ავერ შარშანდელი წაიღე, შე-მოსული და კარგი, — მეუბნებოდა გაბო.

მართლაც, იქვე მახლობლად რამოდენიმე ბუ-ლული სდგას, პატარ-პატარა კონებია შეკრული. ერთი კონა გამოვიღე, სრულიად მშრალი და მშვენიერთაფთავიანი ქვაფია, ეს შარშანდელი მოსავალია. თუშები მომკიან რა თავის ყანას, იმ წელსვე ვერ ასწრებენ „გალეწვას“. შეჰკრავენ პატარ-პატარა ძნე-



კრეისერ, „ავრორას“ მატროსები, რომლებიც შეუერთდნენ აჯანყებულ ხალხს 1917 წლის თებერვალში.

ბად და დადგამენ ასე. მთელი ზამთარი კარშია. მხოლოდ ზაფხულში მიდიან სოფლებიდან თავის მინდორში, გაშლიან ქეჩებს და სათითაო კონას ხელით ბერტყავენ ჯოხებზე. მეტად ძნელი და ნელი სამუშაოა, მაგრამ აქამდე ჯერ ესაა შერჩენილი, კალოს გაკეთება ძნელია, მანქანის ამოტანა ხომ უგზობის გამო შეუძლებელია, დროსაც ზაფხულში დიდი ფასი არა აქვს, რადგან საქმე ამ დროს ცოტაა: თიბვა, თივისა და შეშის მომარაგება და სხვა ასეთი მხოლოდ... მით უმეტეს ყანას უფრო ქალები და ბაღლები „ღეწავენ“. ამიტომ, ალბათ, სხვა წესი არ შემუშავდა.

გამეხარდა ასეთი კაი ნიმუშის ნახვა, ჩავაკარცენს და ჩავყევ დაკიდებულ დაღმართს. ორწყალში ჩავდიოდით. იქ მეცხვარენი ჩანდნენ...

გადასავალი აქ მეტად განიერია, მრავალი ხორხი უნდა გაიარო, თითქმის 5-6 კილომეტრი, რომ ქედის მეორე მხარეს გადახედო. ეს ფრიად საინტერესო გადასავალია იმ მხრივ, რომ აქ მრავალია მდინარეთა ნაკადული, ხეებში და ტაფოფებზე მრავლად გროვდება თოვლი, რომელიც ზაფხულის განმავლობაში ნელ-ნელა დნება და ასახრდოვებს მდინარეთ. თუშეთისაკენ გადადის ორწყალი მრავალი შენაკადით. დასავლეთისკენ — სამყურის წყლის შენაკადები, აღმოსავლეთისაკენ — სტორისა.

დაახლოვებით დილის ათი საათისათვის მზემ დაიწყო კაშკაში, და თავზე დაგვადგა ლურჯი, გამჭვირვალე ცა...

გავიხედე ჩრდილოეთისაკენ და ბროლისგან ნაკვეთი კავკასიონის გამყოლი ქედი უცნაური სითეთრით გვიმზერდა, ახლა სულ ჩამობერებული იყო, ჩამოთეთრებული.

დიკლოს მთა, დანოს მთა, კომიტო აზიდულიყენენ ცისაკენ...

უკვე ჩამობინდდა, რომ ჩვენ წინ აფრინდენ შურთხები და სტვენით გადაეშვენ მეორე ფერდოსკენ. მთის ჭიუხებში კი ელვისებრი თქარათქური მოგვესმა, ქვების ხრიალი.

— ჯიხვები გარბიან, ჯიხვები!.. აგვიხსნა გაბომ. მთვარის შუქზე ჩამოვედით ქედის გადმოღმა, ძირს ალაზნის ველი იყო დაცემული... დიუიანში ვათიეთ ღამე, დიდი ცეცხლის პირს.

ნაბაღზე წამოწოლილი ვუცქერი ვარსკვლავებით მოჭედო ცას.

ჩამოვლიეთ ტყიანი ფერდობი და გამოვედით ალაზნის ველზე, სადაც ცხრათვალა მზის სხივებ ქვეშ უცბად გათბა ჩვენი ძვლები, სადაც თოვლის მოგონება ჯერ არც კი იყო, მხოლოდ შორს, ცის დასავალზე, თეთრად მოჩანდა თუშეთის მთები, ლურჯ მთებს გადაღმა...

5. კეცხოველი.

საქართველოს ოქტომბერი.


სადაც ქარხნების
თუჯის მიღები
ცამდე აწვდილან
კვამლის გორებით,—
მშრომელთა ქვეყნის
ლალი შვილები
ახალ ცხოვრებას
ვეამბორებით.

მამათა ბრძოლის
მოგონებაში
მიდიან დღენი
სისხლით ფერული,
დრო და გრივალის
გადარბენაში
გვამხნევენს დროშა
ოქტომბერული.

ახლა ღიმილი
გვიკრთის ბავუზე,
ახლა მომავლის
გზებს მივაგენით,—
ვდგავართ ლენინის
საგუშავგოზე
ლენინის საქმის
მოგუშავგენი.

დრო გვიგუგუნებს
განთიადამდე,
რეკენ ზარები
ხმებად ბგერული...
რამდენი თვეა
ვითვლით შვიდამდე,—
შვიდი წელია
ოქტომბერული.

3. უურული.



რ ე ა მ ა რ ტ ი.

ოქტომბრის რევოლუციამ სხვა უთანასწორობებთან ერთად მოსპო ის უთანასწორობაც, რომელიც ძველი რეჟიმის დროს არსებობდა ქალებსა და მამაკაცებს შორის. მეთერთმეტე წელია, რაც საბჭოთა კავშირის მშრომელი ქალი მამაკაცთან ერთად მონაწილეობს ჩვენი ქვეყნის სოციალისტურ აღმშენებლობაში.

თუ წინათ მშრომელი ქალი უფლებაყრილი იყო, მამაკაცის დამატებად და ნახევარადამიანად ითვლებოდა, დღეს ეს ასე აღარ არის, დღეს იგი ყოველმხრივ გათანასწორებულია მამაკაცთან და ყოველი მხრით იგი მოქალაქეობრივი უფლებებით სარგებლობს. არა მარტო ქალაქებში, არამედ სოფლადაც იწყებს გამოფხიზლებას წინათ დავიწყებული გლეხქალი. ათიათასობით სწავლობენ მშრომელი ქალები მუშტაკებში, უნივერსიტეტებში, დაბალ სკოლებში და სხვა. რომ მიეცეს მუშაქალს რამოდენიმედ მაინც საშუალება დაახწიოს თავი საოჯახო სამუშაოებს, დაარსებულია მრავალი თავშესაფარი, კერა, სადაც ქალები სტოვებენ თავის შვილებს. მუშაქალმა, რომელიც სტოვებს თავის ბავშვს ასეთ დაწესებულებებში, იცის, რომ იქ ბავშვს კარგად მოუვლიან და უპატრონებენ.

ზრუნავს რა ჩვენი კომუნისტური პარტია და ხელისუფლება მუშა და გლეხთა ცხოვრების გაუმჯობესებაზე, ამავე დროს არ ივიწყებს საბჭოთა აღმოსავლეთის ქალებს, რომელნიც ყველაზე უფრო

დავიწყებულნი, დამცირებულნი და უკულტურონი არიან.

შეუძლია თუ არა პიონერს ამ დღეს იდგეს განზე? რასაკვირველია, არა,—იტყვის ყოველი ჩვენთაგანი. ხშირად ჩვენი დედები შემდეგი შეხედულების არიან: ვითომდა: ქალი ოჯახში უნდა იჯდეს და მხოლოდ მეოჯახებდეს, მზარეულებას უნდა ეწეოდეს და სხვ. რა მისი საქმეა მშრომელთა ბრძოლა ბრწყინვალე მომავლისათვის? ასეთი მდგომარეობის გამო ზოგი პიონერი ფიქრობს: ასეთ ხალხთან ვერაფერს ვერ გავაკეთებთ და უმჯობესია სახლიდან გავიქცეო. მაგრამ ეს სწორი არაა, დეე, უფრო ნელ-ნელა, ვიდრე ეს ჩვენ გვსურს, მაგრამ მაინც უნდა დავუმტკიცოთ ჩვენს დედებს და დებს, რომ საჭიროა მონაწილეობის მიღება საზოგადოებრივ ცხოვრებაში, რომ საჭიროა განათლება, რომ მამავეალი ცხოვრების საწინდარი არა სამზარეულოშია და ძველ ადათებში, არამედ მუშათა და გლეხთა შერთებულ მუშაობაში და მასში აქტიური მონაწილეობის მიღებაში. საერთაშორისო მშრომელ ქალთა დღე—8 მარტი—ჩვენთვისაც, ბავშებისათვისაც, არის სადღესასწაულო დღე, ვინაიდან ის ჩვენი დედის და დების დღესასწაულია!

გაუმარჯოს საერთაშორისო მშრომელ ქალთა დღესასწაულს—8 მარტს!

ვ. ლუარსამიძე

მხოლოდ ოქტომბრის დიდმა რევოლუციამ შესძლო ქალებისათვის სრული თავისუფლების და თანასწორობის მინიჭება!

გაუმარჯოს საერთაშორისო მშრომელ ქალთა დღესასწაულს—8 მარტს!

თებერვლის რევოლუცია.

1914 წელს დაწყებულმა მსოფლიო ომმა ხელი შეუწყო, დააჩქარა მეფის თვითმპყრობელობის დაცემა. როგორც ვიცით, ეს ხელისუფლება მშრომელი ხალხის სასტიკი მტერი იყო. ჯარისკაცები ყველაზე უფრო ტანჯულები იყვნენ: მათი ხვედრი იყო საშინელი წვალება და მსხვერპლი. მეფის მთავრობის უნიჭო და მოსყიდულმა გენერლებმა და სხვა მოხელეებმა ვერ შესძლეს ომში მყოფი არმიის უზრუნველყოფა იარაღების, სურსათის, ტანსაცმლის, მედიკამენტების საჭირო რაოდენობით; ჯარისკაცები უიარაღოდ იღუპებოდნენ თბილისში, ბუხებივით იხოცებოდნენ სიცივისა, სიმშობისა და ავადმყოფობისაგან. არცერთ მეომარ სახელმწიფოს არ დაჰკლებია იმდენი (დახოცილები, დასახიჩრებულები), როგორც რუსეთს. ამავე დროს მთელი მშრომელი მასა საშინლად გმინავდა მაჯლაჯუნისათვის მიძიმედ დაწოლილი მეფის მკაცრი რეჟიმის ქვეშ: გამეფებული იყო უკანონობა, მოხელეების, ფაბრიკანტებისა და ვემამულეთაგან ძარცვა-გლეჯა და სხვ. ამიტომ იყო, რომ განსაკუთრებით ძლიერად იზრდებოდა რევოლუციონური ტალღები.

ომმა ქვეყნის სამეურნეო ცხოვრება სრულიად არივ-დარია. შედეგებმაც მალე იჩინა თავი; პირველი საჭიროების საგნების ნაკლებობა ყველაზე ადრე დიდი ქალაქების მცხოვრებლებმა განიცადეს.

სისხლისაგან დაცლილი ქვეყნის ცარცვა-გლეჯა სამი წელიწადი გრძელდებოდა. ომით და შიმშილით დატანჯულმა მშრომელმა მასებმა ასეთ უსიარცხვილო თავხედობას ვეღარ გაუძლეს. მოთმინების ფიალა აივსო. 1917 წლის 24 თებერვალს პირველად გაისმა გრგვინვა, და რუსეთის ცხოვრების შავ ცაზე დიდი რევოლუციის პირველი სხივები აღმოებრწყინდა. ამ რევოლუციამ რუსეთის თვითმპყრობელობის ტახტი ძირიანად დაანგრია. პეტერბურგის (ახლანდელი ლენინგრადის) მუშები ქუჩაში გამოვიდნენ „პურის“ მოთხოვნით. მუშებს კარგად ესმოდათ, რომ შიმშილს და სამეურნეო ნგრევას, არე-დარევას მჭიდრო კავშირი ჰქონდა ომთან და მეფის თვითმპყრობელურ წესწყობილებასთან. ამიტომ პეტროგრადის მუშების მოძრაობამ პირველ დღესვე პოლიტიკური ხასიათი მიიღო. „პურის“ მოთხოვნასთან ერთად ისმოდა: „ძირს თვითმპყრობელობა“, „ძირს მეფე“, „ძირს მსოფლიო ომი“ და სხვ. ქუჩებში მუშების ჯგუფები მრავლდებოდა. საქარხნო უბნებში და მოედნებზე მრავალრიცხოვანი მიტინგები იმართებოდა. მუშები რევოლუციონური სიმღერებით დადიოდნენ ქუჩებში.

27 თებერვალს საზღვარგარეთ დაეცა მეფის ტახტი. რევოლუციამ გაიმარჯვა...

რა წამს გამოირკვა რევოლუციის გამარჯვება, სრულიად ბუნებრივად უნდა დასმულიყო საკითხი სახელმწიფოებრივი ხელისუფლების ჩამოყალიბების შესახებ. პეტროგრადში უკვე 27 თებერვალს შეიქმნა მუშათა და ჯარისკაცთა საბჭო. მაგრამ მასთან ერთად წარმოიშვა მეორე ორგანიზაცია, რომელიც იქითკენ მიისწრაფოდა, რომ თავისი განსაკუთრებული გავლენა გავრცელებოდა რევოლუციის მსვლელობაზე. ეს ორგანიზაცია იყო სახელმწიფო სათათბიროს დროებითი კომიტეტი, რომლის შემადგენლობაშიაც უმთავრესად ბურჟუაზიის წარმომადგენლები შედიოდნენ.

რევოლუციის პირველ დღეებში მუშათა და ჯარისკაცთა საბჭოს შეეძლო მთელი ძალა-უფლების ხელში ჩაგდება, მაგრამ მან ეს არ ჰქნა. მენშევიკებმა და სოციალისტ-რევოლუციონერებმა მიანდეს სათათბიროს გამოეყო თავისი შემადგენლობიდან დროებითი მთავრობა. მთავრობაში მონაწილეობის მიღებაზე იმათ უარი განაცხადეს და გადასწყვიტეს გარედან მოეხდინათ მასზე გავლენა.

ასეთმა მოქმედებამ დარაზმულ ბურჟუაზიას საშუალება მისცა ჩაეგდო ხელში ძალა-უფლება და სახელმწიფოს სათავეში შედარებით დიდხანს მდგარიყო. ბურჟუაზია ცდილობდა რევოლუციის მღელვარე ტალღებისათვის გზა აეხვია და ბურჟუაზიული სახელმწიფოს წყნარ ნავსადგურში შესულიყო.

როგორ უყუარებდნენ თებერვლის რევოლუციას ბოლშევიკები? ისინი ამტკიცებდნენ, რომ რევოლუციის მთავარი მამოძრავებელი ძალა არის პროლეტარიატი, რომელიც განსაზღვრავს ამ რევოლუციის შინაარსს და მისი განვითარების გზას. რუსეთის თვითმპყრობელობის შემუსვრა, რომელმაც ბურჟუაზია ძალა-უფლების სათავეში დააყენება, მსოფლიო მტაცებლური ომით წარმოშობილი სამოქალაქო ომის პირველი საფეხური არისო. ამრიგად, თებერვლის რევოლუციის მიხედვით ისინი ომს უკავშირებდნენ და აღიარებდნენ, რომ ეს რევოლუცია იყო პირველი საფეხური იმ სამოქალაქო ომის, რომელიც მსოფლიო პროლეტარიატს და მსოფლიო ბურჟუაზიას შორის აუცილებლად უნდა ატყდეს. ბოლშევიკური პარტია ამბობდა: თუ თვითმპყრობელობის დანგრევას შედეგად ბურჟუაზიის გაბატონება მოჰყვა, საჭიროა მეტი ენერგიით განვაგრძოთ პროლეტარიატის რევოლუციონური ძალების დარაზმვა-შეკავშირება; რადგან ბრძოლა ჯერ კიდევ არ და-

მთავრებულა. ჩვენ გველის დიდი ომები, რომლებიც პროლეტარიატს მყვლეფლებზე გამარჯვებას მიანიჭებს, გლახებს მიწას მისცემს, ერებს მშვიდობას და საერთაშორისო პროლეტარიატის ძლიერად მოსილ რევოლუციას ნამდვილ გზას უჩვენებსო. მუშათა კლასი მიხწეული გამარჯვებით არ უნდა დამშვიდდეს, არ უნდა მიიძინოს, პირიქით, იგი შემდეგი ბრძოლისათვის უნდა მოემზადოსო.

როგორი მზიანი იმედები აკავშირებდა რუსეთის მშრომელ ხალხს რევოლუციასთან! დამხობილია საჯკუნეებით მშრომელ ხალხზე მძიმე ტვირთად დაწოლილი სულთამხუთავი იმპერატორის ხელისუფლება, მოპოვებულია ძვირფასი თავისუფლება; გათავდება დაწყევლილი ომი; დამყარდება ახალი წესრიგი, ბოლო მოეღება მემამულეთა და ფაბრიკანტების უსამართლობას, თარეშს, და მშრომელი ხალხი თავისუფლად ამოისუნთქავს, ახალი ცხოვრებით განარებული.

სამწუხაროდ, ეს იმედები არ გამართლდა. მე ომარ ქვეყნებს შორის ზავი არ ჩამოვარდა. მეფის ძველი კანონები ძალაში დარჩა. ხმები დადიოდა: მეფის ძალა-უფლება აუცილებლად უნდა დარჩეს, მაგრამ მეფე თვითმპყრობელი აღარ უნდა იყოსო, მისი ძალა-უფლება უნდა შეიზღუდოსო. მიწა ისევ მემამულეების ხელში რჩებოდა, მემამულე ისევ

ძველებურად აჯდა გლახს კისერზე. ფაბრიკა-ქარხნები რჩებოდათ ისევ კაპიტალისტებს, ფაბრიკანტები ძველებურად ატყავებდენ მუშას. სახელმწიფო ხელისუფლება ხელით იგდეს კაპიტალისტებმა და მენშევიკებმა.

კაპიტალისტებმა და სოციალ-მოღალატეებმა დაიკავეს მეფის მინისტრების ადგილები და სურდათ წარემართათ ომი დიდი წარმატებით. მოკავშირეების მითითებით, ახალმა მთავრობამ სოც-რევოლუკერენსკის მეთაურობით, მეფის მუხრუჭებისაგან განთავისუფლებული ხალხი ომში გარეკა: მათ უნდა განეგრძოთ ომი რუსეთის ბურჟუაზიის და მემამულეთა ინტერესების დასაცავად.

მუშები და გლახები მაშინ კი მიხვდენ, რომ რევოლუციის საქმე საიმედო ხელში არაა, რომ საქმე მხოლოდ ნახევრადაა გაკეთებული. ისინი მიხვდენ, რომ ასეთი მთავ-ობაც უნდა ჩამოეგდოთ და ხელისუფლება თვითონ უნდა ჩაეგდოთ ხელში. თებერვლის რევოლუციით იმედგაცრუებული მუშები და გლახები ამოძრავდენ, ფრონტზე მყოფი ჯარის ნაწილები გამოერკვენ.

მხოლოდ ოქტომბრის რევოლუციამ 1917 წ. ოქტომბერში დაამხო რუსეთში ბურჟუაზიის ძალა-უფლება და სახელმწიფოს სათავეში მთელ მსოფლიოში პირველი მუშურ-გლახური მთავრობა მოაქცია

შანი.



ჩაიის მორჩილითა რაზმი, რომელიც მოვიდა ორანბაზშიდან პეტროგრადში აჯანყებული მუშების დასახმარებლად 1917 წ. თებერვალში.



როგორ მუშაობდა მარქსი და ლენინი?

მარქსი და ლენინი საერთაშორისო მუშათა კლასის უდიდესი ბელადები არიან.

ორივე ბელადის მეცნიერული მოძღვრება: მარქსიზმი და მისი განგრძობა ლენინიზმი ცხოვრების სინამდვილეს ემყარება, ის მუშების სულისკვეთებას გამოხატავს და ამიტომ მთელი მსოფლიოს მუშათა კლასი ამ მოძღვრებით ხელმძღვანელობს და მის განსახორციელებლად იბრძვის.

ამ მოძღვრების ძირითადი შინაარსია: ბურჟუაზიული წყობილების ყველა ქვეყანაში ძალდატანებით მოსპობა, მუშების მთავრობის შექმნა და მერე სოციალიზმსა და კომუნისმში გადასვლა, სადაც არავითარი კლასები არ იქნება, მდიდრები და ღარიბები არ იქნებიან, არამედ კოლექტიური ცხოვრება იქნება.

ეს მოძღვრება თანდათანობით კარგად უნდა შეისწავლოს მომავალმა თაობამ, იბრძოდეს და იმუშაოს იმისათვის, რომ ბოლომდე მიიყვანოს მუშათა ძველი თაობის მიერ დაწყებული რევოლუციონური საქმე.

ამასთან ერთად თითოეულმა პიონერმა, მოწაფემ და ყველა ბავშვმა უნდა იცოდნენ, თუ რა პირობებში, როგორ დაუღალავად მუშაობდნენ მარქსი და ლენინი და პროლეტარიატის სხვა ბელადები. ისინი ამ მხრივაც სამაგალითონი არიან და მათ უნდა მივბაძოთ.

მარქსი ათეული წლების განმავლობაში ლატაკურად ცხოვრობდა.

ისეთი დრო იყო, როდესაც მარქსს ერთდერთი ტანსაცმელი დაგირავებული ჰქონდა ლომბარდში და სახლიდან ვერ გამოდიოდა.

თავის ოჯახს მარქსი ხშირად მარტო პურიით და კართოფლით კვებავდა, მაგრამ ხანდახან ისიც არ ჰქონდა; ხორცეული საქმელი ხომ სულ იშვიათი იყო.

ყველგან დავალიანებული იყო; ვალის დიდი ხნის განმავლობაში გადაუხდელობის გამო საქონლის ნისიად გაცემას შეუწყვეტდნენ ხოლმე.

მარქსის შეილებს ხშირად ფეხსაცმელი და ტანსაცმელი არ ჰქონიათ, რომ სკოლაში წასულიყვნენ.

ძალიან ცუდი კვების გამო მარქსი და მისი ცოლი დიდხანს ავადმყოფობდნენ.

მარქსის ორი ვაჟი და ერთი ქალიშვილი მძიმე მატერიალური პირობების გამო გარდაიცვალა ..

მიუხედავად ამ აუტანელი პირობებისა, მარქსი რკინისებური ნებისყოფით მუშაობდა და განაგრძობდა დიად საქმეს.

მარქსი მუდამ თავდადებით და შეუპოვრად მუშაობდა დილიდან შუალამემდე.

ის განუწყვეტლივ კითხულობდა და ამუშავებდა სხვადასხვა წიგნებს; დაუღალავად სწერდა საკუთარ მეცნიერულ შრომებს (წიგნებს).

მარქსმა იცოდა გერმანული, ფრანგული, იტალიური ენა.

რუსეთის აგროული (მიწათმფლობელობის) პირობების გასაცნობად მან მოხუცე უღობისას რუსული ენაც კი შეისწავლა.

მარქსმა შეისწავლა აგრეთვე სერბიული, ძველი სლავიანური, ლათინური, ბერძნული და სხვა ენები.

ენგელსი, მარქსის პირადი მეგობარი და საერთაშორისო მუშათა კლასის ერთ-ერთი ბელადი, ასეთივე თავდადებით მუშაობდა; ენგელსმაც მრავალი ენა შეისწავლა.

მარქსი და ენგელსი ყოველგვარ საქმეს სისწორით და წინასწარ განსაზღვრულ დროზე აკეთებდნენ.

ჩვენ აქ არ ვეხებით იმ დიდ მუშაობას, რომელსაც ისინი აწარმოებდნენ საერთაშორისო რევოლუციონური ორგანიზაციების სახელმძღვანელოდ.

ლენინსაც მუშაობის ყველა ეს თვისება ახასიათებდა.

ლენინი ყოველთვის თავგანწირულად მუშაობდა; სხვებისაგანაც საქმიან მუშაობას, დავალებათა კახტად შესრულებას მოითხოვდა.

ლენინი თვალყურს ადევნებდა, რომ ყოველგვარი საქმე ბოლომდე და თავის დროზე შესრულებულიყო.

ძველი მითითების შესრულებას აუცილებლად შეამოწმებდა, გამოარკვევდა, ის მართლა გაკეთებულია თუ არა.

ლენინს დრო სასტიკად განაწილებული ჰქონდა, წინასწარ იცოდა როდის და რა უნდა გაეკეთებინა.

ლენინი ხშირად ერთსადამიამვე დროს აწარმოებდა მიწერ-მოწერას, ტელეფონით საუბარს, განკარგულებათა გაცემას პირად მდივნებსა და მათ მოადგილეებზე, კითხულობდა წიგნებს, ვაზეთებს, უცხოეთის ლიტერატურას.

ლენინი ებრძოდა საქმისადმი ფორმალურ მოპყრობას და ცარიელ ქაღალდზე დაყრდნობას. ლენინი მოითხოვდა სწორ მასალებს და ციფრებს. საუკეთესო მენსიერება ჰქონდა, მაგრამ მარტო მასაც არ ეყრდნობოდა.

ლენინს ჰქონდა მრავალი რვეული ყოველგვარი ამონაწერით.

ლენინი უხვად აგროვებდა მასალებს, მაგალითად, შენიშვნებს, კონსპექტებს, ამონაწერებს და სხვა. ამ მასალებს ხშირად ათვალიერებდა და კიდევ შენიშვნებს აკეთებდა.

მასალებს, გამოყენების შემდეგ, არქივში ინახავდა, რომ არ დაკარგულიყო.

ლენინი ვერ ითმენდა სხდომაზე დაგვიანებას, სხდომაზე ხმაურს, უთავბოლო და გაქიანურებულ ლაპარაკს.

ლენინი სიტყვას მოკლედ მოსჭრიდა, სისწორით იმასხოვრებდა გამოსულ მოკამათეთა აზრებს, შემდეგ შეაჯამებდა კამათს და შეჭკონდა გარკვეული წინადადებანი.

ლენინი დიდ ყურადღებას აქცევდა, რომ სხდომების დარბაზში სუფთა ჰაერი ყოფილიყო. ამ მიზნით თამბაქოს მოწვევა აკრძალული იყო.

* * *

უსაქმოა, დროს ტყვილად კარგვა, რომელსაც ლენინი ვერ ითმენდა და ებრძოდა, ზოგიერთ შემთხვევაში პიონერებში ჯერ კიდევ დარჩენილია.

ეს ნაკლი უნდა მოვსპოთ. დრო საქმისა და ჯანსაღი დასვენებისათვის უნდა გამოვიყენოთ.

ამიტომ შევისწავლოთ მარქსის, ენგელსის და ლენინის ბიოგრაფიები; მივბაძოთ მათ მუშაობას.

მარქსი, ენგელსი და ლენინი არა მარტო მუშური რევოლუციების და საერთოდ მუშათა კლასის ბელადები და მასწავლებლები არიან, არამედ ისინი მასწავლებლები არიან „თვითორგანიზაციის“, ჩვენი მუშაობის მოწესრიგების დარგშიც.

მათ უნდა მივბაძოთ, მათი ყოველგვარი გამოცდილება სახელმძღვანელოდ უნდა გამოვიყენოთ, რომ ღირსეული მარქსისტი და ლენინელი ვიყოთ.

ამიტომ თითოეულმა პიონერმა და ყველა ბავშვმა უნდა იზრუნონ თავისი მუშაობის მოსაწესრიგებლად.

მ. სოსელია.

ჩვენი მეზობელი სახელმწიფოები.

პ ო ლ ო ნ ე რ ი

ჩვენი კავშირის დასავლეთით მდებარე სახელმწიფოთა შორის პოლონეთი ყველაზე დიდი სახელმწიფოა. მას უკავია 388 კვადრატული კილომეტრი და სიდიდით ევროპის სახელმწიფოთა შორის მეექვსე ადგილი უჭირავს. პოლონეთის მოსახლეობა 27 მილიონს აღემატება.

პოლონეთმა დამოუკიდებლობა მოიპოვა იმპერიალისტური ომის შემდეგ. პოლონეთის რესპუბლიკა შესდგება სამი სხვადასხვა ნაწილისგან, რომლებიც უწინ ეკუთვნოდნენ სამ სახელმწიფოს—რუსეთს, ავსტროუნგრეთსა და გერმანიას.

პოლონეთი უმთავრესად სასოფლო სამეურნეო კუთხეა. პოლონეთი მდიდარია მანქანებით, აქ არის ნახშირი, ქვამარილი და რკინის მადნები. პოლონეთში ნაწილობრივ განვითარებულია მრეწველობაც, აქ ბლომადაა საფეიქრო ფაბრიკები, არის შაქრის ქარხნებიც. პოლონეთის სამთამადნო სიმდიდრეს შეადგენს ნახშირი და ნავთი.

მიუხედავად ასეთი ბუნებრივი სიმდიდრისა, პოლონეთის მრეწველობა მაინც წელა ვითარდება, მთავარი მიზეზი კი ამისა ის არის, რომ პოლონეთის ფაბრიკები და ქარხნები ომის დაწყებამდე მუშაობდნენ რუსეთის ბაზრისათვის, მაგრამ ომის შემდეგ ეს

ბაზარი პოლონეთის საქონლისათვის დაკარგულად უნდა ჩაითვალოს. ამავ დროს პოლონეთის საქონელი ვერასდროს ვერ გაუწევს კონკურენციას ევროპის სახელმწიფოებს, რომელთა საქონელი პოლონეთისას ბევრად სჯობია.

თვით პოლონეთშიაც არ არი დიდი მოთხოვნილება საქონლისა, რაც მით აიხსნება, რომ ომის შემდეგ პოლონეთის მოსახლეობა გაღატაკდა და საქონლის ყიდვის უნარიანობაც დაეკარგა. ამიტომაც, რომ პოლონეთის ბევრი ფაბრიკა-ქარხანა დღეს უსაქმოდ დგას, ეს კი იწვევს პოლონეთში დიდ უმუშევრობას.

პოლონეთი „დემოკრატიულ“ რესპუბლიკად ითვლება, მაგრამ ნამდვილად კი ძალა-უფლება ბურჟუაზიის ხელშია. იქაური მუშები და გლეხები არავითარი უფლებებით არ სარგებლობენ. პოლონეთის რესპუბლიკის სათავეში სდგას პარლამენტი (სენატი და სეიმი), რესპუბლიკის პრეზიდენტი და მინისტრთა საბჭო.

პოლონეთის სახელმწიფოს ამჟამად განაგებს მემამულეთა და კაპიტალისტთა ინტერესების დამცველი—მარშალი პილსუდსკი.

პილსუდსკიმ 1926 წელს მოახდინა სამხედრო გადატრიალება და იძულებული გახდა სეიმი პრეზიდენტად ამოეჩრჩიათ მისი მეგობარი მოსციკვი.

პოლონეთის მთავრობა იცავს მემამულეთა და სამრეწველო ბურჟუაზიის ინტერესებს. საშუალო და ღარიბი გლეხები და უმუშევრები პოლონეთში დიდ შევიწროებას განიცდიან. ყოველგვარი რევოლუციონური გამოსვლებისა და მცირე გაფიცვების წინააღმდეგ მკაცრი ზომებია მიღებული. პოლონეთის ციხეები სავსეა კომუნისტებით.



განსაკუთრებული სიმკაცრით იღვენება პოლონეთში გლეხთა მოსახლეობა, ისინი, რომლებიც ცხოვრობენ აღმოსავლეთ პროვინციებში. ესენია ეროვნებათა უმცირესობანი—ბელორუსები და უკრაინელები. ბელორუსელ გლეხთა დიდი ორგანიზაცია, ეგრეთ-

წოდებული „ბელორუსული გრომადა“, რომელიც იცავდა პოლონეთის ბელორუსთა ინტერესებს, ამჟამად სავსებით განადგურებულია და მისი მოთავეები პოლონეთის ციხეებში სხედან.

პოლონეთის პანებს—მემამულეებს—სურთ შექმნან „დიდი პოლონეთი“. მათ წაართვეს თავის მეზობლებს დიდი მიწები.

პოლონეთს ზღვაზე რომ გასავალი ქონებოდა, ამიტომ მოახერხა ერთა ლიგის მეოხებით და ხელში ჩაიგდო გერმანიის ნავსადგური დანციგი (ბალტიის ზღვაზე), რომელიც გამოცხადებულია თავისუფალ ქალაქად. ამის შემდეგ გერმანიის ორი ნაწილი—აღმოსავლეთი პრუსია და დასავლეთი—ერთმანეთს დასცილდა. პოლონეთმა ლიტვას წაართვა აგრეთვე ორი დიდი ქალაქი—ვილნო და გროდნო. ჩეხო-სლოვაკეთთან საზღვრების გაშო პოლონეთს მუდმივი უთანხმოება აქვს. რიგის სამშვიდობო ხელშეკრულების მეოხებით, რომელიც პოლონეთმა საბჭოთა კავშირთან დასდო 1921 წლის მარტში, ჩვენგან მიიღო დიდი ოლქები, რომლებიც დასახლებულია უკრაინელებითა და ბელორუსებით. ვინაიდან პოლონეთი დაპყრობითი პოლიტიკის წარმოებას დაადგა, ამის გამო მეზობელ სახელმწიფოებთან დიდი უთანხმოება აქვს. ამიტომ პოლონეთი იძულებულია იყოლიოს დიდი არმია, რომელსაც აქვე მოკლედ გავეცნობით. პოლონეთის არმია მშვიდობიანობის დროს შესდგება 325 ათასი კაცისაგან, რომელიც მოთავსებულია 30 ქვეითა დივიზიაში. ცხენოსანი ნაწილები შესდგება 30 ცხენოსანი პოლკისაგან. საარტილერიო პოლკები თითოეულ დივიზიაში ერთი შედის. პოლონეთს აქვს 158 სამხედრო ჰაეროპლანი, რომელთა რიცხვი ყოველწლივ იზრდება. მას აქვს აგრეთვე 60 ტანკა და 50 ჯავშნიანი მატარებელი. პოლონეთის ჯარს წრთვნიან საფრანგეთის სამხედრო ინსტრუქტორები. ამ არმიის შენახვას სჭირდება მთელი პოლონეთის სახელმწიფო გასავლის თითქმის მესამედი.

მხოლოდ საბჭოთა ხელისუფლების დამყარება მოსპობს პოლონეთის ბურჟუაზიის და მემამულეების იმპერიალისტურ მისწრაფებებს.

ა. გორგაძე.



პირველი რაიონის მე-25 კოლექტივის სწავლება.

ტფილისის რაიონის გზის ინტერნატის პიონერთა ცხოვრება.

1926 წ. რ/გ. ინტერნატთან ჩამოაყალიბეს პიონერთა კოლექტივი.

კოლექტივში ირიცხებოდა 60 პიონერი, რადგანაც თვით საერთო საცხოვრებელში ირიცხებოდა 60 მოსწავლე. პიონერები სწავლობდნენ რ/გ. მე-4-ე შრ. სკოლაში. პირველ თვეებში კოლექტივი ვერ იყო კარგ დონეზე დაყენებული, რადგან მოწაფეები პროვინციებიდან იყვნენ ჩამოსულნი და არ იცოდნენ როგორ ემუშაენათ პიონერთა კოლექტივში, მაგრამ გამოინახა რამდენიმე პიონერი, რომლებსაც ემუშავნათ სოფლის კოლექტივში და მათი დახმარებით ჩამოაყალიბეთ რგოლები. რგოლების მეცადინეობა ხშირად იმართებოდა და ამრიგად გაიწრთვნენ პიონერები.

თოებენ, ალაგებენ, თვალყურს ადევნებენ ინტერნატის ქონებას, ასუფთავებენ ჭურჭლებს, არიგებენ სადილს და სხვ. ამრიგად პიონერები ჩაბმული არიან მუშაობაში. კოლექტივი არის დაყოფილი რგოლებად, რგოლში შედის 10 პიონერი. რგოლების მეცადინეობა ხდება ხუთშაბათობით, რგოლებში საუბრებს ატარებენ როგორც რგოლის მეთაურები, ისე რგოლების წევრებიც, ხდება ვარჯიში და სიმღერები რგოლებად; კოლექტივში არსებობს რედკოლეგია, რომელიც ყოველ კვირას უშვებს კედლის გაზეთს „ინტერნატის პიონერთა ნაბიჯს“. კედლის გაზეთში შუქდება კოლექტივის ყოფა-ცხოვრება.

პიონერი

კავშირი სხვადასხვა კოლექტივებთან.


ჩვენმა კოლექტივმა საჭიროდ სცნო, კავშირი გაეხა სხვადასხვა კოლექტივებთან და გაცნობოდა მათს ცხოვრებას.

ამ მიზნით ჩვენმა კოლექტივმა კავშირი გააბა სოფელ. ქვიშხეთის კოლექტივთან, რისთვისაც გამოყოფილ იქნენ კოლექტივიდან პიონერები, რომლებსაც ევალეობოდათ წერილებით ეცნობებოდათ მათთვის ჩვენი კოლექტივის ცხოვრება. მართლაც ასეც მოხდა და ჩვენმა კოლექტივმა აცნობა მათ ჩვენი ცხოვრება და მუშაობა. მათაც გვაცნობეს თავისი მუშაობა და ცხოვრება. და ამნაირად განვამტკიცეთ კავშირი. ხელი შევვიწყო აგრეთვე იმ გარემოებამ, რომ ინტერნატში არიან სოფ. ქვიშხეთის პიონერები, რომლებიც არადადგებზე მიდიოდნენ სოფელში და საუბრების საშუალებით აცნობდნენ მათ ჩვენს მუშაობას. აგრეთვე ჩვენმა კოლექტივმა კავშირი გააბა მე-7-დე საბავშვო ბაღთან, ვაწარმოებდით მათ შორის საუბრების ჩატარებას, რითაც ვაგებინებდით მათ ჩვენს ცხოვრებას, ისინი კი ჩვენ გვაცნობდნენ თავის ცხოვრებას. ჩვენი კოლექტივი იყო აგრეთვე სვანებთან, სადაც ვააკეთეს ანგარიში ჩვენმა ხელ-



ინტერნატის მოწაფე-პიონერები ალაგებენ თავის საწოლებს.

ნერები კოლექტივის მუშაობაში, რამაც კარგი მიღწევები მოგვცა. ინტერნატში ჩამოაყალიბდა რგოლების მეთაურებისაგან საბჭო, რომელიც ხელმძღვანელობს ინტერნატის ბავშვთა ცხოვრებას. ინტერნატში გამეფებულია შრომის პრინციპი, რომლის მიხედვით პიონერები ჩაბმული არიან ყოველგვარ სამუშაოში: ეხმარებიან მზარეულს, ასუფთავებენ, აუ-



პიონერები გაკვეთილზე

ძღვანელებმა კოლექტივის ცხოვრებაზე. რა თქმა უნდა, ამ კავშირის გაბმას დიდი მნიშვნელობა აქვს პიონერებისათვის, ვინაიდან პიონერები ეცნობიან ერთმანეთის მუშაობას. ჩვენი კოლექტივი მომავალში შეეცდება კიდევ უფრო მეტად განამტკიცოს კავშირი სხვადასხვა კოლექტივებთან.

პიონერი მიწა ხიხაძე

გოგორ ვახაჩავით არდადეგების დროს სოფლის ნ. პ. კოლექტივს.

მე-25 ნ. პ. კოლექტივის პიონერები ყოველ ზაფხულობით სწავლის გათავების და არდადეგების დაწყებისას მიემგზავრებიან სოფლად. იქ ჩვენი პიონერები ებმებიან სოფლის ნ. პიონერთა კოლექტივებში და ეწევიან პიონერულ მუშაობას: ათავსებენ კედლის გაზეთში წერილებს, ეცნობიან ქალაქის კოლექტივების მუშაობას, ატარებენ საუბრებს, სწავლობენ სიმღერებს და თამაშობებს, ეწევიან საკლუბო მუშაობას და სხვა. შემდეგ, როდესაც ვბრუნდებით ქალაქში, ჩვენს კოლექტივში ვესაუბრებით ხელმძღვანელს, ვსაუბრობთ რგოლებად, თუ რა გააკეთეს პიონერებმა, რა შეძინეს სოფლის კოლექტივს და რა გააკეთა თითოეულმა პიონერმა და სხვა. ამით ჩვენ, პიონერები, ვაბამთ კავშირს სოფლისა და ქალაქის პიონერებს შორის და ვადვილებთ სოფლის პიონერების მუშაობას.

პიონერი ვიქტ. ბაბლიძე

ფორპოსტის მუშაობა მეოთხე სკოლაში.

რკინის გზის მე-4-ე შრომის სკოლაში 1926 წლიდან არსებობს ფორპოსტი. სულ თავს იყრის 150 პიონერი. მუშაობა მიმდინარეობს სისტემატურად. ორ კვირაში ერთხელ გაერთიანებულ კრებებზე ირჩევა ცოცხალი საკითხები სკოლის ცხოვრებიდან, პიონერების წარმატებისა და კულტურულ მუშაობის ფარგლებში. პიონერებისაგან გამოყოფილი არიან ჯგუფის ორგანიზატორები, ესენი აწარმოებენ დღიურებსა და აგრეთვე აღრიცხვებს თავ-თავის ჯგუფებში, ყურადღებას აქცევენ ჰიგიენის დაცვას. ექსკურსიები ეწყობა სამეცნიერო მიზნით, სკოლის მოსწავლე ახალგაზრდობასთან ერთად. პიონერების მუშაობას ხელმძღვანელობას უწევს ფორპოსტის ბიურო, სკოლის უჯრედი. მე-25 კოლექტივში ჩაბმული არიან მასწავლებლებიც, რომლებიც გვიწევენ სხვადასხვა დახმარებას, ჩაბმულნი არიან საკლუბო მუშაობაში და სკოლის კომკავშირის უჯრედთან დგამენ წარმოდგენას, მათთან ერთად იღებენ მონაწილეობას სხვადასხვა რევოლუციონური დღესასწაულის ჩატარებაში.

პიონერი ს. სენიაშვილი



როგორ იქნას მიმღები რადიო-საღვთის.

როცა ელექტრომაგნიტური ტალღები აღწევენ დედამიწიდან მაღლა გაქიმული ანტენის მავთულს, მასში აღიძვრება ელდენი, რომელიც ჯერ მიდის ერთი მიმართულებით, გამტარის გასწვრივ ანტენიდან რადიო-მიმღებში გავლით მიწისაკენ, შემდეგ კი შებრუნებული მიმართულებით, მიწიდან ხელსაწყოს გავლით ანტენის უკიდურესი ბოლოსაკენ. ამგვარი დენი, მიმდინარე ჯერ ერთი მიმართულებით, შემდეგ კი შებრუნებულით, იწოდება „ცვალეზად დენად“. თუ დენი მუდმივ ერთი მიმართულებით მიმდინარეობს, მაშინ ის იწოდება მუდმივ დენად.

ელექტრომაგნიტური ტალღებით აღძრული დენი, მომავალი ფართედამაუწყებელი სადგურებიდან, იცვლის თავის მიმართულებას დაახლოვებით მილიონჯერ ერთ წამში. რასაკვირველია, ძლიერ ძნელი წარმოსადგენია ასეთი სისწრაფის დენი, რომელიც მისწრაფის ანტენიდან ქვევით და უკან ზევით და წამში მილიონჯერ იცვლება. მაგრამ ეს სწორედ ასე ხდება სინამდვილეში; ეს დიდი სიხშირის ცვალეზადი დენი, ანუ „რხევითი დენი“, იცვლის ძალას ანტენაში მცემ ტალღათა ძალის შეცვლის მიხედვით.

რადიო-სადგურიდან გზავნილ ტალღათა ძალა შესამჩნევად ცვალეზადობს იმისდა მიხედვით, თუ როგორ უკრავს მუსიკა ან წარმოითქმის სიტყვა. ამის გამო ყოველ მიმღებ სადგურში დიდი სიხშირის ცვალეზადი დენი ანტენაში ისევე სწრაფად იცვლება და წარმოადგენს ნამდვილ გამოხატულებას გადამცემი სადგურის ანტენის ცვალეზადი დენისა. ერთადერთი განსხვავება მდგომარეობს მხოლოდ იმაში, რომ მიმღებ ანტენაში ყოველი დენი გაცილებით უფრო სუსტია, ვიდრე გადამცემში, ვინაიდან გზავნილი ენერგია იფანტება ყოველი მიმართულებით და მხოლოდ პატარა ნაწილაკი ამ ენერგიისა აღწევს თითოეულ მიმღებ სადგურამდე. ამიტომ ამ უკანასკნელ სადგურებზე აუცილებლად საჭიროა ძლიერ მკრძნობიარე წყოსები, განსაკუთრებით ნიშნების მეტად შორი მანძილიდან მიღების დროს.

თქვენ, მოსალოდნელია, იფიქრებთ ახლა, რომ ყველაზე უბრალო ხერხი რადიოთი გადმოღებული სიტყვების მოსასმენად მდგომარეობს იმაში, რომ თქვენი წყვილი ელსმენარა ჩაურთოთ ეგრეთ-
წყვილი ანტენის ჯაჭვს სახლში შემავალ ანტენის ბოლოსა და შეწყვიტის გამტარს შორის. მაგრამ ეს ხერხი არ მოეცემა არავითარ შედეგს, იმიტომ რომ ელსმენარას თავისი მოწყობილობის გამო არ შეუძლია შეიგძნოს მიმართულების დიდი სიჩქარით მცვლელი დენი.

ჩვეულებრივ ტელეფონის ხაზზე, მიკროფონში ლაპარაკის დროს, თქვენ აწარმოებთ სხვადასხვა ძალის ცვალეზად დენს, და ელსმენარა ხაზის მეორე ბოლოში შეიგძნობს ამ დენს, რის გამო სათანადოდ თრთოლავს, ე. ი. კანკალობს და გამოსცემს იმგვარსავე ბგერებს, როგორ ბგერასაც იძლევა წარმოთქმული სიტყვა.

ხოლო თუ „სიხშირე“ მეტად დიდია, მაშინ ელსმენარას არ შეუძლია ითრთოლოს საკმარისი სისწრაფით და არაფერი არ მიიღება. საჭიროა რადიოს ცვალეზადი ამ დენთა სისწრაფის შესანელებლად, რომ მათ შესძლონ იმოქმედონ მილზე.

ეს საჭიროა აგრეთვე მეორე მიზეზის გამოც: თუნდ ტელეფონს კიდევაც შესძლებოდა ერთ წამში მილიონჯერ ცვალეზადი დენის შეგძნება, ამ შემთხვევაშიაც კაცის ყური, სულერთია, მაინც ვერ შესძლებდა იმათ მოსმენას.


სხვადასხვა ძალის სწრაფცვალეზადი დენის გარდასაქმნელად იმგვარად, რომ აიძულონ ტელეფონი იმუშაოს, ჩვენ პრაქტიკაში ვაწარმოებთ დენის „გასწორებას“ ანტენის ჯაჭვში.

ვლაპარაკობთ რა „გასწორებაზე“, ჩვენ ვგულისხმობთ ხერხს, რომლითაც უნდა შევეუშალოთ ხელი დენის მოძრაობას სხვადასხვა მიმართულებით. ახლა დენი იმის მავიერ, რომ წავიდეს ჯერ ერთი მიმართულებით, შემდეგ კი შებრუნებულით, წავა უბრალოდ მეტად სწრაფი ბიძგებით **ერთისადაიმავე მიმართულებით**. ტელეფონი ვერ შესძლებს შეიგძნოს ცალკე თითოეული ბიძგი, მაგრამ, რადგან ახლა ყველა ისინი მიდიან ერთი მიმართულებით, ამიტომ ისინი, ასე ვთქვათ, იკრიბებიან და წარმოშობენ რომელიმე საშუალო მოქმედებას.

პირველი დენი ანტენაში იცვლის თავის ამპლიტუდას შედარებით ნელა, ფართედამაუწყებელ სადგურში მოლაპარაკე ხმის ბგერათა მიხედვით; ამის გამო გასწორებული დენის ძალაც იცვლება შედარებით ნელა, და სინამდვილეში ჩვენ ახლა გვაქვს თითქოს საშუალო დენი, მომავალი ერთგვარი მიმართულებით და ძალის სახეცვალეზადი იმისდა მიხედვით, როგორ წარმოითქმის სიტყვა ცალკე გადამცემ სადგურში.

ეს დენი აიძულებს ტელეფონს ითრთოლოს და გამოსცეს იმგვარი ბგერები, როგორსაც იძლევა წარმოთქმული სიტყვა გადამცემ სადგურზე.

ამრიგად, მიმღები სადგურის მთავარი შემადგენელი ნაწილებია: ხელსაწყო ტალღების საჭირო სიგრძეზე მოსამართავად, ხელსაწყო დიდი სიხშირის დენის გასასწორებლად და წყვილი ელსმენარა.



თ ა ვ ა უ მ ბ ა ნ ი .

შუბის ტაოტანა.

მოთამაშენი ხეზე ჩამოკიდებენ სალტებს (რკალს); თათოველი მათგანი იღებს ხელში ჯოხს, სიგრიძით ერთ მეტრამდე; ჯოხი შუბს ჰკავს, წინ დაწვრილებული ცხვირი აქვს და რიგ-რიგად ისვრიან მან ისე, რომ ჯოხმა რკალში ვაიაროს. ვინც უფრო მეტჯერ ვაისვრის შუბს რკალში, მოგვებული ის რჩება.

შახლა-ბურთი.

პიონერები წრეს აკეთებენ. ერთმანეთის პირ-დაპირ მდგომი მოთამაშენი ბურთებს აისვრიან და ცდილობენ, რომ ბურთები ერთმანეთს მოხვდეს. თუ სამჯერ ზედიზედ ავდების დროს ვერ შესძლეს ბურთების დაჯახება, ისინი თამაშიდან გადიან და შემდეგი ორი თამაშობს.

ოთხი ბრმა.

თამაშობაში მონაწილეობას იღებს ერთი რგოლი ან მთელი კოლექტივი. მოთამაშენი დიდ წრეს აკეთებენ. წრის შუაგულზე დაჰლაგებენ ორ ჩალიჩას და ორ სასტვენს. შემდეგ წრეში შეჰყავთ 4 თვალეზავი პიონერი, მიჰყავთ მიწაზე დალაგებულ ნივთებამდე და წინადადებას აძლევენ, რომ თითოეულმა მათგანმა იილოს ერთი რომელიმე ნივთი (რომელიც მას ხელში მოჰყვება). მათ რამოდენიმეჯერ ადგილზე შემოატრიალებენ, რის შემდეგ ბრმები გაიფანტებიან წრის სხვადასხვა კუთხისკენ. ორი ბრმა, რომელთაც სასტვენი შეხვდათ, დაიბრუნებენ და უსტვენს, ხოლო დანარჩენი ორი კი, რომლებსაც ხელში ჩალიჩა უკავიათ, სდევნიან პირველებს. აკრძალულია ჩალიჩის ღონიერად ცემა. რამოდენიმე წუთის შემდეგ წრეში მდგომებს შესტელიან.

თავადი და გლახები.

წინამძღოლი ერთ ბაფშა-აირჩევს. იგი მიწის-შელობელ თავადს წარმოადგენს. დანარჩენები, რომლებიც გლახებს წარმოადგენენ, ერთ რიგად დგებიან და ერთმანეთს წელში ჩაჰკიდებენ ხელგამს. თავადი მიევა რიგის თავში მდგომ გლახთან და

იმ წამსვე რიგში ყველაზე უკან მდგომი ცოთამაშე გაიქცევა და ცდილობს რიგში ყველაზე წინ დადგეს; თავადი ცდილობს მის დაჭერას და თუ იგი გამოქცევის დროს დაიჭირა, დაჭერილი ვაბდება თავადი, და თუ არა—მაშინ თავადად ისევ ძველი რჩება.

გლახები და მამასახლისი.

პიონერები წრეს აკეთებენ. ისინი გლახებს წარმოადგენენ. წრის შუაგულში მამასახლისი დგას. მას შემოხაზული აქვს ადგილი (ორი მეტრი დიამეტრში) და ცდილობს გლახების დაჭერას, რომლებიც მის წრეზე ვაღშორებიან. მამასახლისმა თუ რომელიმე გლახი დაიჭირა, უკანასკნელი მამასახლისი შეიქნება და თამაში თავიდან იწყება.

ჩალიჩობა.

პიონერები წრეს აკეთებენ. ყველანი ერთი-მეორისაგან ახლო-ახლო დგანან და სახით წრის შუაგულისაკენ არიან მიბრუნებული. არც უკან, არც გვერდზე მიხედვა დაშვებული არ არის, ხოლო ხელები ყველას უკან წელზე აქვს დაწყობილი. წრის უკან, ჩალიჩით ხელში, დაიბრუნება წინამძღოლი და სხვების შეუმჩნეველად ვინმეს ჩაუდებს მას ხელში. ის პირი, რომელიც ჩალიჩას მიიღებს, დაუწყებს ცემას მარჯვნივ მდგომ ახვანაგს, ხოლო უკანასკნელი კი ცდილობს ჩალიჩის ცემა აიკლინოს. წრე შემოიბრინოს და უწინდელ ადგილზე დადგეს. თუ ვინცობაა მას ჩალიჩა მოხვდა, შემდეგ ის შემოივლის წრეს და შეუმჩნეველად ჩალიჩას სხვა გადასცემს.

დიდი ოთხკაბა.

მოედანზე ხაზს გაავლებენ. პიონერი, რომელსაც კენჭი შეხვდება, წელმოხრილი დადგება. დანარჩენები ბეჭებზე ხელის დაკვრით რიგ-რიგად გადაახტებიან მას. როდესაც ყველა გადაახტება, წელმოხრილი გაიმართება, ხაზიდან ხუთ ტერფს გაითვლის და კვლავ დადგება. დანარჩენები განაგრძობენ გადახტომას (ხაზზე ტუპად ფეხის გადაკვრით). თუ ყველანი გადახტენ, მაშინ წელმოხრილი კიდევ ხამ ტერფს გაითვლის და ისევ დადგება. თუ ახლაც არაფერ არ ჩაიჭრება, კვლევ რამდენიმე მანძილს მოუშატებენ და ისევ ხტებიან, ვიდრე რომელიმე არ ჩაიჭრება. ჩაჭრილი ვადებულია დადგეს წელმოხრილის ადგილზე, უკანასკნელი კი დანარჩენებთან ერთად გადაახტება ახალ წელმოხრილს.

- ხაქმე მაქვს.
- ვინ გინდა?
- უკანასკნელი ამ რიგში მდგომი გლახი.
- წადი და დაიჭირე.

გაგოღის 1928 წ. გაგოღის

თრკვირული საფიანვილთ ფასუკათიფული

ქურნალი

მორადილთათვი

პიონერი

წელიწადი III

ქურნალი ს. ს. ს. რ. შვილა სკოლისათვის სავალდებულა.

ლენინის სახელობის საქართველოს ბავშთა კომუნისტური ჯგუფების უოველი წევრის, ორგანიზაციის უოველი კოლექტივის, ბავშთა კომუნისტური მოძრაობის თითოეული ხელმძღვანელის, ბიბლიოთეკების და სამკითხველოების ვადღებულე ბაა გამოიწერონ

პიონერი

მიიღება ხელმოწერა 1928 წლისათვის.

ქურნალი ღირს გადაგზავნით:

- წელიწადში — 5 მან.
- ექვს თვეს — 3 მან.
- სამ თვეს — 1 მან. 50 კაპ.

სალკე ნომერი — 25 კაპ.

მისაგართი: ტფილისი, რუსთველის გამზირი, № 22, სახეღვამი (ქეორე სართული). „პიონერი“-ს და „ნაპადული“-ს რედაქცია.

რედაქტორი — სარკელაქსიო კოლეგია.